საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 20 დეკემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 290 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ სა № 290

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიკმახერთა ამქარი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და მეგობრებს თავის წევრის

ვანო თედორეს ძე მუნჯიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს საღ. 8 საათ. გამოსვენება კვირას, დილის 10 საათ. თავის ბინიდან (მიხაილოვის № 124) ქაშვეთის ეკლესიაში. (3320—1—1)

სახელმწიფო თეატრი

კვირას 21 დეკემბერს

ნინო ჩხეიძის

იუბილე

ოცდა ხუთი წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

დილით:
I განყოფილება
საიუბილეო ზეიმი
II განყოფილება
„აბესალომ და ეთერი"
მე-2-რე მოქმედება ზ. ფალიაშვილის ოპერიდან. მონაწილეობას იღებს საოპერო დასი.

საღამოთი:
საიუბილეო წარმოდგენა
I განყოფილება
„უბედური ნაბიჯი"
დრამა 3 მოქ. კარეევისა.
II განყოფილება
„ღალატი"
მე-5 მოქ. ა. სუმბათაშვილის დრამიდან.

დასაწყისი დილის ზეიმისა სრულ 12 ს., საღამოს წარმოდგენისა სრულ 8 ს.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (ნ. 4—3)

საქართველოს სახაზინო რკინის გზელების კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ

კულტურა განათლების

კომისიას განზრახული აქვს შეიძინოს პროფესიონალური, ლიტერატურული და პოლიტიკური ხასიათის ქართული წიგნები. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე ხსენებულ კომისიის თავმჯდომარესთან დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 200. (ნ. 6—2)

ტფილისის სამაზრო ერობის გამგეობის ტეხნიკური განყოფილება

აცხადებს რომ მოეწყო სამგზავრო მიმოსვლა ტფილის-ალბულახ და მანგლის შუა

ლინეიკა გადის:
ალბულახისკენ: ოთხშაბათობით და შაბათობით.
მანგლისისკენ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბრუნდება ტფილისისკენ:
ალბულახიდან: ორშაბათობით და ხუთშაბათობით.
მანგლისიდან: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ფასები:
ტფილისიდან ალბულახში და უკან—200 მან.
ტფილისიდან მანგლისში და უკან—200 მან.

ლინეიკები გადიან ორივე მხარისაკენ ერობის ბინიდან და ბილეთები იყიდება აქვე, რუსთაველის ქ. № 6. (ნ.—3—3)

2 იანვარს 1920 წელს

ქართულ მსახიობთა კავშირი

საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში გამართავს

მსახიობთა დღეს

(ნ. 2—1)

საჭიროა ქალი

კარგად მცოდნე ქართულ და რუსულ მანქანაზე მუშაობისა, რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობისთვის, ელისაბედის ქუჩა, № 200. თხოვნების მიღება და გამოცდა დანიშნულია ორშაბათს, 22 დეკემბერს, დილის 9 საათზე. (ნ. 2—1)

კარახანების ნოტა

გაზეთებში გამოქვეყნდა საბჭოთა რუსეთის სახელით კარახანის მიერ საქართველოსადმი წარმოგზავნილი ნოტა, რომელიც გულის სიღრმემდე აღაშფოთებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს. ამაზედ შორს წასული თავხედობა საერთაშორისო დამოკიდებულების კითხვებში იშვიათია. კრემლის ტირანები ისე გაკადნიერებულან, რომ ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეში ერევიან. ბატონი კარახანი გვატყობინებს, რომ საბჭოთა მთავრობამ დააპატიმრა საქართველოს საელჩოები მოსკოვსა და პეტროგრადში და მანამდე არ გაანთავისუფლებს, სანამ საქართველოს მთავრობა არ გაუღებს საპყრობილის კარებს იმ რამდენიმე ასეულ კომუნისტებს, რომელნიც დღეს სხედან საქართველოს ციხეებში. ამავე დროს მოსკოვის მთავრობის თავხედობა იქამდის მიდის, რომ თავიანთ რწმუნებულთ და შუაკაცათ გვისახელებენ ერთ ერთ ჩვენ მოქალაქეს სახელმწიფო დამნაშავეს მიხეილ ცხაკაიას, რომელიც დღეს დაპატიმრებულია.

როგორ და რა უფლებით ბედავენ ეს ვაჟბატონები ჩვენი რესპუბლიკის შინაურ საქმეებში ჩარევას? საქართველოს მთავრობამ დააპატიმრა რესპუბლიკის ის ქვეშევრდომნი, რომელნიც ხალხური წყობილების წინააღმდეგ აჯანყდნენ, რომელნიც ხალხს და მის ბედნიერებას ცეცხლის ალში უპირებდენ დაწვას და დაგვას; დააპატიმრა ის ავაზაკები და მოღალატენი, რომელთა განზრახვა იყო საქართველოს დემოკრატია სამოქალაქო ომის სისხლის მორევში ჩაეხრჩო და ნებით თუ უნებლიეთ დენიკინის შავი ლაშქარისათვის რესპუბლიკის კიშკარი გაეღო. და აი რუსეთის კომუნისტები სამაგიეროთ ჩვენ საელჩოს აპატიმრებენ მოსკოვსა და პეტროგრადში. რა შუაშია, რა შედარებაა?! ჩვენმა მთავრობამ თავის რესპუბლიკის ქვეშევრდომი მეამბოხე მოქალაქენი დააპატიმრა. მოსკოვი კი ჩვენს ქვეშევრდომ მოქალაქეთ, უცხო სახელმწიფოს ელჩათ წარგზავნილ და მშვიდობიანათ მცხოვრებ ადამიანებს აპატიმრებს.

ჩვენს მთავრობას სასტიკი პროტესტი უნდა გამოეცხადებია ჯერ ერთი იმის წინააღმდეგ, რომ მოსკოვის მთავრობამ გაბედა ისეთი ნოტის გამოგზავნა, რომელიც მოასწავებს ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევას. ამის შესახებ საქართველოს დემოკრატია უკიდურესი აღშფოთებითა და ზიზღით უპასუხებს მოსკოვის ტირანებს: „შორს ჩვენგან თქვენი სისხლიანი და მუხანათი ხელები!"

სასტიკ პროტესტს განაცხადებს საქართველოს დემოკრატია იმის წინააღმდეგ, რომ კომუნისტურმა ბარბაროსებმა შებღალეს საერთაშორისო უფლება და დააპატიმრეს ჩვენი საელჩო. ჩვენ გადაჭრით უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველოს საელჩოს წევრები დაუყონებლივ გაანთავისუფლონ, რადგან მათ არავითარი დანაშაული არ მიუძღვით ბოლშევიკური მთავრობის წინაშე. რაიცა შეეხება ჩვენი საელჩოების გაუქმებას საბჭოთა რუსეთში, ეს შეიძლება საჭირო და აუცილებელიც იყოს, მაგრამ ჩვენი საელჩოს ის წევრნი, რომელნიც დღეს კომუნისტურ ციხეებში სხედან, უნდა დარჩენ ჩვენ მიერ უფლება მოსილ წარმომადგენლებათ, უნდა მოვითხოვოთ მათი განთავისუფლება როგორც ასეთების. საბჭოთა მთავრობის ასეთ მოქმედების შესახებ უნდა ეცნოს ყველა ქვეყნებს.

თუ მოსკოვის მთავრობა არ დააკმაყოფილებს სამართლიან მოთხოვნას და არ გაანთავისუფლებს ჩვენ წარმომადგენლებს, მაშინ რესპუბლიკის მთავრობამ უნდა შესაფერი პასუხი გასცეს. კომუნისტური რუსეთის მოქალაქენი, რომელთაც ათასობით მისცა თავშესაფარი საქართველოს დემოკრატიამ, გაიზიარებენ იმ ბედს, რომელიც ბოლშევიკებმა არგუნა ჩვენს მოქალაქეებს მოსკოვსა და პეტროგრადში.

აღსანიშნავია მოსკოვის ნოტა კიდევ ერთი მხრით. ბატონმა კარახანმა დიდი დათვური მეგობრობა გაუწია ქართველ კომუნისტებს. ჯერ უმისოდაც საკმარისი საბუთები იყო იმისი, რომ საქართველოში მომქმედი კომუნისტები მოსკოვის დაქირავებული აგენტები არიან. თუ ვინმეს კიდევ ეჭვი ეპარება ამაში, ხომ საბოლოოთ დარწმუნდა, მას შემდეგ, რაც ბ. ფილიპე მახარაძის კვალზე აღმოჩნდა ბარონის ქუჩაზე საისტორიო დოკუმენტები ჩვენი ბოლშევიკების მოღალატური მოღვაწეობის შესახებ*), ეხლა კი ბ. კარახანმა დამწვარს მდუღარე დაასხა. საჯაროთ გამოვიდა ნოტით და მთელ ქვეყანას ამცნო, რომ საქართველოში დაპატიმრებულნი მეამბოხე კომუნისტები მოსკოვის მფარველობის ქვეშ არიან, რომ ცხაკაია, მახარაძე და ძმანი მათნი საქართველოში უცხო სახელმწიფოს დავალებას ასრულებენ. კარახანის ნოტის აზრი ასეთია: საქართველოს მთავრობამ დააპატიმრა ჩვენი არა ოფიციალური წარმომადგენელნი (რესპუბლიკის წყობილებისა და მის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ამბოხებული კომუნისტები) და სამაგიეროთ ჩვენ თქვენი ოფიციალური (მოსკოვში მშვიდობიანათ მცხოვრებნი) წარმომადგენელნი დავიჭირეთო.

უამრავი საბუთები იყო და არის იმის, რომ საქართველოს კომუნისტური ამბოხება მოღალატური აქტია, დამტკიცდა ისიც, რომ უცხო სახელმწიფოს მილიონების ხარჯზე აწყობენ თავიანთ საგმირო საქმეებს ჩვენი კომუნისტები, მაგრამ უკანასკნელი კარახანის ნოტა ეს საბუთთა საბუთია. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ ნოტის ასლი პროკურორს უნდა გადაუგზავნოს. ეს ნოტა გვირგვინი იქნება იმ საბრალმდებლო ოქმის, რომელიც შედგება ბოლშევიკთა მოღალატური საქმის შესახებ.

---

*) საჭიროა დაჩქარდეს ამ დოკუმენტების სრულად გამოქვეყნება.

„ივერია" და „სახალხო"

„ერთობის" მოწინავემ „კიდევ ოპოზიციაზე" როგორც ეტყობა ძალზე შეანძრია ეგრედ წოდებული ოპოზიციის ჭაობი. აწრიპინდენ მოჯირითე კალმოსნები და ნაცვლათ პრინციპიალური დავისა ქუჩური ჭორიკანობით და ტაკიმასხარაობით ლამობენ თავის პოლიტიკური სიდუხჭირის შელამაზებას. ამ მხრით, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ რიგში ჩადგა გაზეთი „ივერია". დრო მოჭმული წოდების და თავისუფლების მოედანზე ყალბი ნებართვებით მოვაჭრე სპეკულიანტების ორგანოს, რასაკვირველია, ბევრი არა მიეთხოება რა. პარტია მედროშეა თავისი კლასის, თავისი ჯგუფის და ამიტომ არც კი უნდა გაგვიკვირდეს თუ ყოფილი ფეოდალების და ახლად გამოჩეკილი სპეკულიანტების გაზეთი სწერს და ლაპარაკობს იმ ენით და იმ სტილით, რომელიც ამ ჯგუფს თუ კლასს შეეფერება.

„ივერია" ენას არ მოაბრუნებს ისე, რომ მენშევიკების სისუქნეზე და მინისტრების გაწყობილ მაგიდაზე არ ილაპარაკოს. მთელი მისი ოპოზიცია ამ სისუქნის და გაწყობილი მაგიდის ირგვლივ ტრიალებს და შემდგარი უკანა ფეხებზე ფინიასავით ყნოსვით დაეძებს „გაწყობილ მაგიდას" და ჰგონია, რომ ასეთი მაგიდა უთუოთ მინისტრისაც იქნება, რადგან ის... ის მინისტრია. ის დაჩვეულია თავის წრის მინისტრების „გაწყობილი მაგიდის" გარშემო ხტუნვას, მისი ნაფუნჩხებით მუცლის გავსებას და ჰგონია, რომ ჩვენი მინისტრების მაგიდაც მუდამ გაწყობილია და რაკი ამ სუფრიდან მათ არ ხვდა და არც შეიძლება რგებოდა რამე, რადგან საამისო არაფერი იყო—აი ისინიც აქვითინდენ:—დავმჭლევდითო.

საბრალო ფინიები!
ნეტა სადაურია?
ვინც გადაუგდებს ლუკმა პურს
მისი შინაურია!

ასეთი, უკაცრავათ პასუხია, გაზეთისაგან არც კი უნდა გაგვიკვირდეს ის შანტაჟი, რომელსაც ის სისტემატიურათ სჩადის. ჩვენ არა ერთხელ დავიჭირეთ „ივერია" ამ უკადრის საქციელში, მარა მან წარბი არ შეიხარა და ჩვეულებრივათ განაგრძობს თავის საპატიო ხელობას. ასეა უკანასკნელ ნომერშიც, სადაც სწერს: „ერთობამ" ყვითელი პრესა გვიწოდა, თავს იქებს რომ არც ინგლისში და არც საფრანგეთში, სადაც ბურჟუაზიული წყობილებაა, არ ირის ისეთი წესი, როგორიც ჩვენშიო. (№ 31).

არც ერთი ეს სტრიქონი, არც სიტყვა ყვითელი პრესა, ინგლისი და საფრანგეთი „ერთობის" წერილში არ ყოფილა. ეს ჩვეულებრივათ თვით შეთხზა „ივერიამ" და ასე მისი ჯგუფის ვაჭრული პადლოგი პრესაშიც გამოიტანა. მარა ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან, სპეკულიანტების ორგანო პრესის ზნეობა მოვალეობათა იმ არშინით ზომავს, რომელსაც ის ვაჭრობაში ხმარობს და ამ არშინის სიგრძე-სიგანე კი ხომ დიდი ხანია ცნობილია.

სულ სხვაა „სახალხო". მას არ ვადარებთ და ვერც შევადარებთ „ივერიის" დაქირავებულ თავშიშველ პოლიტიკურ ბალღებს. ამიტომ მას მეტი მოეთხოვება და ჩვენი წრფელი სურვილი იყო და არის ამ ჯგუფს შეეგნო და შეეთვისებია ნამდვილი ოპოზიციის დანიშნულება და ამ როლის თამაშიც სერიოზულათ ეკისრა. ასეთი ოპოზიცია აუცილებელია და ამიტომაც იყო, „ერთობა" სწერდა: ჩვენ გვინდა ოპოზიცია. ოპოზიცია სასტიკი, მედგარი, მტკიცე, მაგრამ... პატიოსანი, სინდისიერად მოაზროვნე და სხ. (№ 288).

„სახალხო"-ს ოპოზიცია არ გავს ამ ოპოზიციას. მართალია ის არ კადრულობს „ივერიასავით" მინისტრების მაგიდის თვალიერებას, მარა დემაგოგობაში კი „ივერიას" არ ჩამოუვარდება. ამ დემაგოგობის სათავეა მისი სურვილი—რაც შეიძლება მემარცხენეთ მოგვაჩვენოს თავი. ამიტომ იყო „ერთობა" სწერდა: ისინი ფატალურათ ებმიან ბოლშევიკების ქსელში. ისინი კომუნისტების ამყოლათ გამოდიან და სხვ. „სახალხოს" უნდა დაერღვია ეს დებულება, თუ ის სინამდვილეს არ ეთანხმება. ნაცვლათ ამისა მან გულში ხელის ფათური დაიწყო და დადიანის და ბარათაშვილის გვარის ხსენება იმ განძრახვით მოგვაწერა, რომ ჩვენ „გვარებზე გვინდა მიგვექცია მკითხველის ყურადღება". და ეს თურმე „გულუბრყვილო ბრბოს მოსატყუებლათ ჩავიდინეთ" (სახ. № 708). „სახალხოს" რომ მართლა სურდეს და შეეძლოს სერიოზული ოპოზიციის როლის თამაში, ის შეეცდებოდა „ერთობის" მიერ აღძრულ კითხვის გამორკვევას და მის სათანადო სიმაღლეზე აყვანას. ამით მოიგებდა მართველი პარტიაც და ოპოზიციაც და საერთოდ კი საქვეყნო მუშაობა. მარა, ვიმეორებ, ასეთი პასუხისმგებელი ოპოზიციის მუნდირი მეტად დიდი გამოდგა სოც.-ფედერალისტებისათვის და ამიტომ „სახალხოც" ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა. და რომ ეს ასეა, ამტკიცებს თუ გინდ ბ. ს. ფირცხალავას ის წერილები ოპოზიციაზე, რომელიც მოთავსებული იყო თვით „სახალხოში", რითაც ის უხსნიდა და ასწავლიდა თავისიანებს თუ რას ნიშნავს ოპოზიცია და როგორი უნდა იყოს ის.

„სახალხო" თავს იქებს: „ჩვენი ოპოზიცია სდგას სახელმწიფოებრივ ნიადაგზე და ებრძვის მენშევიკების ანტისახელმწიფოებრივ პარტიულ პოლიტიკას. ჩვენი ოპოზიცია გამოდის მშრომელი ხალხის ინტერესებიდან და გმობს მენშევიკების ანტი-დემოკრატიულ რეფორმებს. ჩვენი ოპოზიცია იცავს ეროვნულ პრინციპებს და ებრძვის მენშევიკების რუდიმენტს —„ანტი - ეროვნულ ტენდენციებს" და სხ.

თავის ქება კიტრათ ღირსო, მარა კიტრი რომ ცხრა თუმანი არ ღირდეს" — ვიტყოდით „სახალხოს" თავის ქებაც კიტრათ ღირსო. და სანამ მართველი პარტიის ოპოზიცია „ცხრა თუმნის" ღირებულების მაინც არ გახდება, მისი მდგომარეობა მართლაც არ იქნება სახარბიელო და ჩვენი წრფელი სურვილია, რაც შეიძლება მალე გაჩნდეს „ოპოზიცია სასტიკი, მედგარი, მტკიცე, მაგრამ... პატიოსანი, სინდისიერათ მოაზროვნე, საშუალო ნამუსის პატრონი მაინც" და დაუმატებთ მცნობი და პატივისმცემელი თავისი და მოწინააღმდეგისაც.

განი.

რუსეთის სოც.-დემოკ—ბი და საბჭოების მთავრობა

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების უმრავლესობა რევოლიუციის პირველ ხანებში სრულებით მხარს უჭერდა კოალიციის იდეიას და პირნათლათ ასრულებდა იმ მძიმე მუშაობას, რომელიც მას უხდებოდა მუშების და საერთოთ დემოკრატიულ წრეებში ამ იდეისთვის პოპულიარობის მოსაპოვებლათ. საერთოთ სოციალ-დემოკრატიული პარტია იმ აზრს იცავდა დღიდან მისი დაარსებისა, რომ რუსეთის ნახევრათ ფეოდალური წესწყობილების დანგრევა შეიძლებოდა ყველა ოპოზიციონური ძალების იერიშით. იმავე დროს პარტიამ იცოდა, რომ რევოლიუციის პროცესში დადგება მომენტი, როდესაც ბურჟუაზიული წრეები ზურგს უჩვენებენ დემოკრატიულ მოთხოვნილებებს და მუშათა კლასმა სხვა დამხმარე ძალა უნდა მონახოს—ქალაქის და სოფლის დემოკრატიაში—წვრილი ბურჟუაზიის სახით. ეს დებულება დაახლოვებით ასეთი აფორიზმით გამოხატა გიორგი პლეხანოვმა: ტვერამდის ერთათ ვივლით კადეტებთან მატარებელში, რადგანაც ერთი გზა გვაქვს, შემდეგ ისინი ჩამოხტებიან და ჩვენ განვაგრძობთ მგზავრობასო.

რუსეთის დემოკრატიულ თათბირზედ გამოირკვა, რომ რუსეთის ორგანიზაციების უმრავლესობას სურდა მოსკოვამდის თან ეთრია ცენზიანი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. უკანასკნელნი ამის თანახმა, რასაკვირველია, არ იყვნენ. კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წინადადება—ერთი დემოკრატიული ფრონტის შექმნის შესახებ უარყოფილი იქნა და ისევ კოალიციის აზრმა გაიმარჯვა. ასეთმა ტაქტიკამ სხვათა შორის ხელი შეუწყო კომუნისტების გამარჯვებას. დღიდან კომუნისტების გამარჯვებისა რუსეთის სოციალ დემოკრატიული პარტია მას ებრძვის იდეიურად. უმთავრესი ბრძოლის საგანი არის დემოკრატიულ პრინციპების ცხოვრებაში გატარება, თუ კომუნისტური პარტიის დიქტატურა. ამასთან შეკავშირებულია მეორე დებულება. სოციალ-დემოკრატების აზრით, რუსეთი არ არის მომზადებული სოციალისტურ წესწყობილების დასამყარებლად, მაშინაც კი, როდესაც ევროპაში მუშები აიღებენ ხელში სახელმწიფოების მართვა გამგეობას. თუ კერენსკის დროს პარტიას იდეიურად ხელმძღვანელობდენ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები, დღეს მას ხელმძღვანელობს ინტერნაციონალისტი მარტოვი. ორივე მიმართულება სავსებით იზიარებს ორ ზემოდ მოყვანილ დებულებას: ამ მხრივ, არც მარტვთან და არც დანთან საერთო არაფერი აქვს არშაკ ზურაბოვს, რომელიც თავის თავს რუსეთის პარტიის წევრად სთვლის. მარტოვის აზრით, საბჭოების სისტემა, თუნდაც ისტორიულად აუცილებელი იყოს რუსეთისთვის, მაინც გარდამავალი მოვლენაა. მან ადრე თუ გვიან ადგილი უნდა დაუთმოს დემოკრატიულ წყობილებას. პარტია წინააღმდეგია იარაღით ხელში ებრძოლოს კომუნისტების მთავრობას და ამით დღეს დაასუსტოს ის რეაქციასთან ბრძოლაში, მარტოვის აზრით მან უნდა მიმართოს იდეიურ საშუალებას და თავისი გავლენით მიაღებინოს თვით საბჭოებს დემოკრატიული პროგრამა სახელმწიფოს შენების. რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტია, მიუხედავათ დევნისა და ხშირად არა ლეგალურ მდგომარეობისა, არც ერთ შემთხვევას არ უშვებს, რომ კრიტიკის ქარ ცეცხლში გაატაროს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა. ის საზღვარ-გარეთაც თავისი წარმომადგენლების სახით, აკრიტიკებს მათ მუშაობას და ევროპის მუშებს აცნობს საბჭოების რუსეთის ნამდვილ მდგომარეობას. იმავე დროს პარტია ებრძვის ევროპის რუსეთის საქმეებში ჩარევის გეგმას და ხშირად მიუმართავს ევროპის სოციალისტებისთვის მოეხდინათ გავლენა თავიანთ მთავრობაზე და ბლოკადა მოეხსნათ. თუ ევროპა არ დაეხმარა რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერს, მაშინ შეიძლება რუსეთში ისეთი მდგომარეობა, როდესაც სოციალისტური ოპოზიცია შესძლებს გავლენა მოიპოვოს და დემოკრატიულ წყობილებას გამარჯვება მოუპოვოს.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია სრულებით არ იზიარებს კომუნისტების პროგრამას, მან მხარი დაუჭირა ლენინის მთავრობას დენიკინ-კოლჩაკთან ბრძოლაში. შეადგინა თავის მომხრეებიდან და თანამგრძნობებიდან ბატალიონ-პოლკები და ფრონტზე დააყენა. ასეთი ქცევა რასაკვირველია, არ ნიშნავს საბჭოთა მთავრობასთან შეერთებას. როდესაც კომუნისტები არ იყვენ გაბოროტებულნი, კორნილოვის გამოსვლის დროს ისინი იცავდენ დროებით მთავრობას—კერენსკის სახით—ავანტიურისტ გენერლის დაცემიდან. პლეხანოვი, რასაკვირველია, არ გამხდარა ძველი მთავრობის მომხრე, როდესაც ის იცავდა მას გერმანიასთან ომის დროს. მისი აზრით, რუსეთის მიერ გერმანიის დამარცხება საჭირო იყო პროგრესის და მშრომელი ხალხის ინტერესებისთვის. რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტია და მისი წინამძღოლი მარტოვი სამართლიანად დარწმუნებულია, რომ დენიკინის დამარცხება საჭიროა პროგრესისთვის და რუსეთის დემოკრატიისთვის. ის მხარს უჭერს იმ მოსკოვის მთავრობას, რომელსაც ისტორიამ არგუნა ამ ბრძოლის ხელმძღვანელობა. იმავე დროს პარტია მუშაობს დემოკრატიულ წყობილების დამყარებისთვის და იზიარებს კავკასიის ორგანიზაციის ძველ აზრს რუსეთში საერთო დემოკრატიული კოალიციის შექმნის შესახებ.

ბ. თეკლათელი.

ცხოვრების გაძვირება ევროპაში

ცხოვრების გაძვირება მსოფლიო უბედურებაა. დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ისეთი ადგილი, სადაც ცხოვრება არ გაძვირებულიყოს. ცხოვრების

დღეს

ლოიდ ჯორჯის განცხადებით სირიიდან ინგლისის ყველა ჯარები გაუყვანიათ.

დანციგის ქალაქის არჩევნებში სოციალისტები დამარცხდენ, რაც „ფორვერტსის“ აზრით, გამოწვეულია არჩევნებში დამოუკიდებელ სოციალისტების „პროლეტარიატის დიქტატურის“ ლოზუნგით გამოსვლით.

ნახშირის სიმცირის გამო ჰამბურგში მრეწველობის საქმე შეფერხდა, რამაც მრავალი მუშა უმუშევრად დასტოვა.

ავსტრიის კანცლერის რენერის განცხადებით, თუ დახმარება არ მიიღო ავსტრიამ მოკავშირეთაგან, კაბინეტი გადადგება და მცხოვრებნი ან შიმშილით უნდა დაიხოცონ, ან გერმანიას შეუერთდენო.

ისპანიის ზოგიერთ კუთხეებში გაფიცვებია. ბარცელონაში ყუმბარები ისროლეს. არიან დაჭრილები.

იტალიური პრესის ცნობით ახალ სესხზე ხელის მოწერა იტალიაში კარგათ მიმდინარეობს

გაძვირება გამოწვეული არის საერთაშორისო ომიანობით: ხალხების მეურნეობა ყველგან ძირიანად არის შერყეული. ოთხი წლის განმავლობაში ხალხის ჟლეტამ, ქალაქების და სოფლების დანგრევამ მოსპო ის სიმდიდრე, რომელიც საუკუნოებით გროვდებოდა; იმის აღდგენა, რაც ომიანობის დროს განადგურებული იყო, თითქმის შეუძლებელია. ჯარში გაწვეული მრავალი მილიონი ჯან-საღი მუშა ხალხი ჩამოშორდა ნაყოფიერ წარმოებას. მრეწველობა გარდაიქმნა, ვინაიდან მას დაესახა განსაკუთრებული ვალდებულების ასრულება: ჯარებისა და მეომართა მოთხოვნილება. ოთხი წლის ომიანობამ ხალხი ნაყოფიერ მუშაობას გადააჩვია; შინ დაბრუნდა მრავალი დასახიჩრებული და დაავადმყოფებული. რკინის გზები გაცვდა და ვერ ასრულებენ მუშაობას. 30 პროც. გემებისა და ხომალდებისა დაიღუპა.

მსოფლიო მეურნეობა დაირღვა და დაინგრა, მოთხოვნილება კი როგორც მრეწველობის, ავრეთვე სოფლის მეურნეობის ნაწარმოებისა დიდია; ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება განადგურებულ მეურნეობას არ შეუძლია.

საშინელი ხარჯები ომიანობის მიერ გამოწვეული იფარებოდა ქაღალდის ფულების ბეჭვდით. ქაღალდის ფულის ფასი დაიკარგა, ვინაიდგან ომიანობა ანადგურებდა იმას, რასაც ღირებულება ქონდა. ომიანობამ ხალხების ქონება, სიმდიდრე გაანიავა და სამაგიეროთ დასტოვა აუარებელი ქაღალდის ფულის ნიშნები. მათ ფასი არა აქვს, რადგან ქაღალდის ფულს ჭეშმარიტი, ნამდვილი ღირებულება არ უდევს საფუძვლათ.

ყველა ამან გამოიწვია საქონლის, ნივთების ფასების ზრდა. ცხოვრების გაძვირება დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენათ ესა და ის სახელმწიფო ეკონომიურათ უფრო ძლიერი იყო ომიანობამდე. სახელმწიფო ძლიერი ეკონომიურათ ნაკლებათ დაზარალდა, უფრო გაუძლო განადგურებას, მეტი წინააღმდეგობა გაუწია ომიანობისაგან გამოწვეულ დასახიჩრებას. მძლავრი ეკონომიურათ სახელმწიფო უფრო ნაკლებ გასაჭირს განიცდის, უფრო ნაკლებ გრძნობს ცხოვრების გაძვირებას.

ინგლისის ჟურნალში „თე ეკონომ.“ (ეს ჟურნალი არის პირველი ჟურნალი მთელ ევროპაში. ამ ჟურნალში იბეჭდება გამოჩენილი ეკონომისტების წერილები და გამოკვლევანი. ამ ჟურნალის შინაარსი ყოველთვის მდიდარია. მას ევროპაში ბადალი არ ჰყავს) გამოანგარიშებული არის თუ რამდენჯერ გაძვირდა ცხოვრება ევროპაში ომიანობის დროს.

აი ეს საყურადღებო ცნობები.

თვე და წელიწადი	პური და ხორცი	სხვა გვარის სანოვ.	ქსოვილები და ტანთ საცმელი	მადნეული ბა: ნახშირი ნავთ. და სხ.	დანარჩენი ნივთები და საქონელი
იანვარი 1916 წ. . .	946	465	782,5	761,5	884,5
დეკემბ. 1916 „ . .	1294	559	1224,5	824,5	1112
დეკემბ. 1917 „ . .	1289,5	686	1684,5	839,5	1348,5
იანვარი 1918 „ . .	1221,5	686	1719,5	829	1329
თებერ. 1918 „ . .	1235	693	1743	838	1319
მარტი 1918 „ . .	1238	697	1777	836	1319
აპრილი 1918 „ . .	1244	744,5	1760	850	1342,5
მაისი 1918 „ . .	1247	777,5	1773,5	849	1294
ივნისი 1918 „ . .	1274	777,5	1811,5	861,5	1380,5
ივლისი 1918 „ . .	1274	777,5	1808	889	1379
აგვისტ. 1918 „ . .	1287,5	775	1920	889,5	1367
სექტემ. 1918 „ . .	1246	779,5	1929	889	1394
ოქტომ. 1918 „ . .	1271	780	1889	878,5	1391
ნოემბ. 1918 „ . .	1289	782,5	1848	903	1389,5
დეკემბ. 1918 „ . .	1303	782,5	1805,5	816	1337
იანვარი 1919 „ . .	1287	782,5	1618	828	1335
თებერ. 1919 „ . .	1288,5	782.5	1596,5	818	1310
მარტი 1919 „ . .	1285	782,5	1517	844,5	1294
აპრილი 1919 „ . .	1306,5	752	1512,5	912,5	1290,5
მაისი 1919 „ . .	1310,5	776	1643	931	1327
ივნისი 1919 „ . .	1338	800	1741,5	937	1371,5

ამ ცხრილს თუ ჩავაკვირდებით დავინახავთ: სანოვაგე და სხვა საჭირო საქონლის ფასი 1916—1919 წ. იზრდებოდა. იყო ისეთი თვეები, როდესაც ფასები ცოტათი იკლებდა, მაგრამ შემდეგ თვეში ფასები ისევ ზევით ადის და მატულობს. პურისა და ხორცეულობის ფასი უფრო თანდათანობით იზრდებოდა. მთელ ევროპაში უპირველესი მოთხოვნილების ნივთების და საქონლის ფასი იზრდებოდა.

უმჯობესი იქნება ფასების ზრდა პროცენტებით გამოვხატოთ:

თვე და წელი		პური და ხორცი	სხვა გვარის სანოვაგე	ქსოვილები და ტანთ საცმელი	მადნეული ბა: ნახშირი ნავთი და სხ.	დანარჩენი ნივთები და საქონელი
31 ივლისიდან 31 დეკემბრამდე	1914	+ 135	+ 62,5	— 507,5	+ 11,5	123,5
	1915	+ 183	+ 31,5	+ 222	+ 235,5	+ 162
	1916	+ 397	+ 107	+ 393,5	+ 113	+ 363,5
	1917	— 7.5	+ 133	+ 560	+ 15	— 236,5
	1918	+ 16.5	+ 96,5	+ 121	+ 26 5	— 11,5
1 სექტემბერი	1919	+ 35	+ 17,5	— 64	+ 71	+ 34,5

ომის პირველ წლის დამლევს საქონლის ფასები ერთიანად იზრდება, განსაკუთრებით დიდი ზრდა ეტყობა პურსა და ხორცს. ტანთსაცმელი და ქსოვილების ფასი ძლიერ დაეცა. შემდეგ ფასები თან და თან იზრდება 1917 წ. ფასების ზრდა ზოგიერთ საქონელზედ ცოტა ჩერდება, მხოლოდ ტანთსაცმელის და ქსოვილების ფასები ძლიერ მატულობს—მიაღწევს 560 პროც. ომიანობის შეწყვეტამ დიდი გავლენა იქონია ფასების ზრდაზედ; ფასები თვალსაჩინოთ კლებულობს. ომიანობის შეჩერება, ჯარის მოთხოვნილების შემცირებამ უეჭველად დიდი გავლენა იქონია ფასებზედ. ფასები დაეცა. 1919 წ. გამოირკვა, რომ ომი გათავებულია, დემობილიზაციას შეუდგენ, ანგრეული მეურნეობის აღდგენას ხელი მოჰკიდეს, მიმოსვლა ზღვაზედ გაადვილდა, საზღვრები გაიხსნა, საერთოთ სახელმწიფოებს შორის მიმოსვლა ავრეთვე გაადვილდა. ჯარისკაცები შინ დაბრუნდენ და ევროპის ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა. რა თქმა უნდა ფასებიც შეიცვალა, მაგრამ ამ ცვლას ერთი და იგივე ხასიათი არა აქვს. პურის და ხორცეულობის ფასი 1919 წ. შედარებით 1918 წ აიწია; დანარჩენი სანოვაგეს ფასები დაიწია. კიდევ უფრო დაიწია ქსოვილების ფასები, ვინაიდგან აამუშავეს ქარხნები და ბაზარზედ დიდძალი საქონელი გაჩნდენ. საყურადღებო ის არის, რომ მადნეულობის ფასები 1919 წ. წინანდელთან შედარებით გაიზარდა; ეს იმითი იყო გამოწვეული, რომ ქარხნები ამუშავდა, რკინის გზებზედ და ზღვაზედ გაძლიერდა მიმოსვლა. ქვანახშირის, ნავთის, მაზუთის მოთხოვნილება ძლიერ დიდი შეიქნა. ამოძრავებულმა მრეწველობამ მოითხოვა დიდძალი საწვავი მასალა.

ცხოვრება გაძვირდა ევროპაში ომიანობის დროს, მაგრამ თანდათან ეს სიძვირე კლებულობს. მრეწველობა და მეურნეობა აღდგენის გზაზედ არის. მართალია მთელი ევროპა დიდ გასაჭირში არის ნედლი მასალის ძებნაში, განსაკუთრებით მრეწველობას საწვავი მასალა ცოტა აქვს, მაგრამ მთელ ევროპაში ძლიერ დიდი მუშაობა სწარმოებს და ევროპის მეურნეობა დიდ მუშაობას ეწევა. ამით აიხსნება ის თვალსაჩინო მოვლენა, რომელიც გამოიხატება საქონლის ფასების დაწევაში, მაგრამ ფასები მაინც დიდია და გაიაფება ძლიერ ძნელი ხდება. ძლიერი მრეწველობა და წარმოება ევროპისა სცდილობს სძლიოს გასაჭირი, მაგრამ დანგრეული ცხოვრების მოწყობა და სრულებით აღდგენა ჯერ ჯეროვნით ძნელია. ომიანობისაგან დასახიჩრებულ ევროპაში მეურნეობა მართალია, დანგრეული არის, მაგრამ მას ისეთი ძლიერი ნიადაგი ჰქონდა, რომ ამ ნანგრევებზე შესაძლებელი შეიქნა წარმოების მოგვარება.

რამდენათაც რომელიმე სახელმწიფო ეკონომიურათ უფრო ძლიერი იყო, იმდენათ ნაკლებათ არის მისი მეურნეობა შერყეული და იმდენათ უფრო მეტი სისწრაფით შესაძლებელია მრეწველობის და წარმოების აღდგენა. მხოლოდ ცხოვრება იმდენათ აწეწილი შეიქნა ომიანობისაგან, რომ ის დიდი მუშაობა, რომელიც ევროპაში არის ამ ჟამათ, ახლო მომავალში მის ეკონომიურ მდგომარეობას სავსებით ვერ აღადგენს. ასეთი მდგომარეობის საუკეთესო გამომხატველი არის ცხოვრების სიძვირე.

ხ. ავალიანი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

19 დეკემბერი.

მოხალისეთა ცნობები.

ტაგანროგი. დეკემბ. 17. ასტრახანის მიმართ. მდგომარეობა არ შეცვლილა. კამიშინის მიმართულებით მზვერავები მხნეთ მოქმედებენ. ბალაშოვის და ტალოვოეს მიმართულებით დონსა და ილოვლის შუა მოწინავე რაზმების შეტაკებაა. ბოგუჩარის სამხრეთით ჩვენ ჯარს მტერმა შემოუტია მეშკოვთან. ბრძოლის შემდეგ მტერი ჩრდილოეთით უკუ ვაგდეთ. ოსტროგოჟის მიმართულებით ბოგუჩარის დასავლეთით ჩვენი ჯარი ქურავკა-პანტიუხინას ფრონტზე შემოტეულ მტრის იერიშებს იგერიებს. ვალუიკის მიმართულებით კუპიანსკ-სვატოვის რაიონში ბრძოლაა. ხარკოვის მიმართ. გრავოვოზე და ჩოგუევზე შემოტეულ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სადგურ მერეფის სამხრეთით მეჟის მარჯვენა ნაპირზე, მდგომარეობა არ შეცვლილა. პოლტავის აღმოსავლეთით და სამხრეთით მზვერავები მოქმედებენ, პირიატინის მიმართ. ცვლილებები არ მომხდარა. ჟიტომირის მიმართ. კიევის ჩრდილოეთით ბრძოლაა. ბერდიჩევის რაიონში ჩვენი შეტევა ვითარდება. სად. ბერდიჩევის სამხრეთით 3 ვერსზე ჩვენ სოფელი ავიღეთ. კამენეც-პოდოლის და ადესის რაიონში სიწყნარეა.

ბალშევიკური ცნობები.

მოსკოვი. 18 დეკ. სამხედრო ცნობები, დეკ. 18. დასავლეთის ფრონტი. ბალტიის რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენმა ნაწილმა ნარვის ჩრდილო აღმოსავლეთით 10 ვერსზე რამდენიმე სოფელი აიღო. გაროვის ორივე ნაპირზე ბრძოლა სწარმოებს. ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვევლები. ნარვის სამხრეთით 5 ვერსზე ჩვენი ჯარი იბრძვის. სამხრეთის ფრონტი. კიევის დასავლეთით ჩვენი ჯარი შეტევას მხნეთ ანვითარებს. წითელმა ნაწილებმა პირიატინის სამხრეთით 30 ვერსზე ხაზზე გამოვიდა. ქალ. მირგოროდის აღების შემდეგ ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. პოლტავის სამხრეთ-აღმოსავლეთით 30 ვერსზე ბრძოლაა. აქ მტერი დიდ წინააღმდეგობას გვიწევს. ხარკოვის სამხრეთით 25 ვერსზე ჩვენ ბრძოლით ავიღეთ დაბა სოკოლოვი. ჩვენმა ჯარმა ქალ. ჩუგუევი აიღო კუპიანსკის სამხრეთ აღმოსავლეთით 50 ვერსზე დავიჭირეთ სარატოვო და დაბა ნოვო-ეკატერინოსლავი. სტარობელსკის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით 15 ვერსზე ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ბოგუჩარის სამხრეთ აღმოსავლეთით მტრის შევიწროვებას განვაგრძობთ. წითელი ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა სადგ. კრემენნაიას და მრავალი ტყვეები წამოიყვანა.

ნაუენი, დეკ. 17. ლონდონიდან იუწყებიან, ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ თუ დენიკინის და კოლჩაკის არმია განადგურდა, მაშინ ბოლშევიკებს შეძლება ექნებად ბალტიის სახელმწიფოების, პოლონეთისა და ფინეთის განადგურებისა. ისინი შესძლებენ ინდოეთის საზღვრამდე არეულობის შეტანას.

სამხედრო ცნობა. აღმოსავლეთის ფრონტი. ჩვენ ქალაქი კარკალინსკი ავიღეთ. სერგიოპოლზე ჩვენი შეტევა გრძელდება. 15 დეკ. წითელმა პარტიზანებმა უსტ-კამენოგორსკი აიღეს. ყაზახთა 3 პოლკი პარტიზანებს მუსიკით შეხვდა. ჩვენმა პარტიზანებმა ქალ. ბრისკი აიღეს. წამოიყვანეს ტყვეები, მათ რიცხვში გარნიზონის უფროსი.

ფრანგული პრესის ცნობები

ფინანსთა მინისტრმა დეპუტატთა პალატაში უნდა შეიტანოს ფინანსიური პროექტები, რომლებიც წლის ბოლომდის უნდა მიიღონ. პირველად წარდგენილი იქნება ორი კანონ-პროექტი: 1919 წ. ხარჯთაღრიცხვის დამატებით კრედიტებისა და 1920 წლის პირველ მესამედში გასავლის ხარჯთაღრიცხვის კრედიტის გახსნათა შესახებ. შესაძლებელია, რომ შემდეგ წარმოდგენილ იქნეს კანონ პროექტი მესამე ახალი სესხის აღების შესახებ. ფინანსთა მინისტრი ფიქრობს ახლო მომავალში პარლამენტში დაწვრილებითი მოხსენება გააკეთოს და ამგვარათ ხალხს გააცნოს ფინანსიური მდგომარეობა და მთავრობის შეხედულობა ბიუჯეტის ზედმეტი ხარჯის დასაფარავათ აუცილებელ საშუალებათა გამონახვის შესახებ. მას განზრახული აქვს აგრეთვე წარადგინოს რამდენიმე კანონ-პროექტი ახალ გადასახადების დაარსებაზე, რომელთა შესახებაც დეპუტატთა პალატის წინა სხდომაზე მან განცხადება გააკეთა. ეს კანონ პროექტი, ალბათ, წარდგენილი იქნება წლის ბოლომდის და შეადგენს, თითქოს წინასიტყვაობას 1920 წ. ბიუჯეტისას, რომელიც ახლა მუშავდება. ყოველ შემთხვევაში ბიუჯეტი პალატაში 1920 წლის პირველ მესამედამდის მაინც არ იქნება შეტანილი.

მიწის კერძო მესაკუთრეობის საკითხის შესახებ „მატენი“ ამბობს, რომ დღეს საფრანგეთში ნამდვილი სოციალური რევოლიუციაა, რომელიც აუარებელ ფრანგის მიერ მიწის კერძო საკუთრებათ შეძენაში გამოიხატებაო. 1918 წელს მიწის დიდ საშუალო და მცირე მესაკუთრეთა რიცხვი დაახლოვებით 8 მილიონს აღწევდა. წელს კი საფრანგეთის სოფლებში ასი ათასობით გამოჩნდენ ახალი მესაკუთრენი. არც ერთ ისტორიულ ეპოქაში არ მომხდარა ამგვარ მოკლე დროში მომხდარიყოს მიწის საკუთრებათა ასეთი ჩქარი გადაცემა. ეს რევოლიუციის ხანიდან დაწყებულ მიწის საკუთრების დანაწილების პროცესის გაგრძელებააო.

ისპანიის ზოგ კუთხეში გაფიცვებია. ბარცელონაში ყუმბარები ისროლეს; არიან დაჭრილები.

იტალიური პრესის ცნობები

ლონდონიდან მოსული ცნობით იტალიის ფინანსიურმა მდგომარეობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც იტალიის ფინანსიურ პოლიტიკის შედეგებს ყოველთვის ყურადღებით ექცევა. დიდის სიმპატიით ხვდებიან მყუდროებას მუშებში, რომლებიც გამოსვლებსა და გაფიცვებს არ ახდენენ.

ახალ სესხზე წინასწარმა ხელის მოწერამ ბირჟაზე 5 მილიონი ლირა მოგვცა.

რომის „პოპოლო“ აღნიშნავს საზოგადოებაზე ნიტტის უკანასკნელ სიტყვის დიდ გავლენას, რომელმაც განაცხადა, რომ პალატაში სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლების შეთანხმებული მუშაობა თუ იქნება, ახალი პალატის მუშაობის ნაყოფიერობა უზრუნველყოფილი იქნებაო.

გერმანული პრესის ცნობები

ავსტრიის კანცლერმა რენნერმა კოპენჰაგენის გაზეთ „პოლიტიკენ“-ის კორესპოდენტს აუწყა: თუ გერმანულ-ავსტრიამ ამ მოკლე ხანში არ მიიღო დახმარება, შეიძლება მათემატიკური სისწორით ვიწინასწარმეტყველო, რომ მომავალ თებერვალში 7 მილიონი კაცი შიმშილით გაწყდება. რადგან სურსათი, ეხლანდელ ნორმის მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ 20 იანვრამდე იკმარებს. თუ მოკავშირეებმა დახმარებაზე უარი განაცხადეს, ავსტრიის კაბინეტი გადადგება და მცხოვრებლები ან უნდა შიმშილით დაიხოცონ, ან და გერმანიას შეუერთდენო.

დანციგში ქალაქის არჩევნები დანციგის გერმანელ ელემენტებისთვის სრულ ზეიმს წარმოადგენდა. დემოკრატებმა და სოციალისტებმა დაკარგეს თვალსაჩინო ხმები, რომლებიც გერმანელმა ნაციონალისტებმა მიიღეს. 66 ადგილიდან სოციალისტებმა მხოლოდ 20 ადგილი მიიღეს. „ფორვერტსი“ სწერს, რომ სოციალისტების მეორე ასეთი ხმების დაკარგვის მაგალითი ჯერ არ ყოფილა. ამის მიზეზს „ფორვერტსი“ ხედავს მასში, რომ დანციგის 1 სოციალისტები დამოუკიდებელთა „პროლეტარიატის დიქტატურის“ ლოზუნგით გამოვიდნენ. ამომრჩეველი მასსა ერთგვაროთ სდგას როგორც დიქტატურის ტერორის ისე ნაციონალურ ინდიფერენტიზ. წინააღმდეგ, აღმოსავლეთის სოც.-დემოკრატიამ გერმანულ ელემენტის დაცვის პოლიტიკა უნდა აწარმოოს. „ფორვერტსი“ სწერს, რომ პოლონელებს მოკავშირეების საშვალებით შეეძლოთ ეყიდათ ფულით დანციგის ოტელები და მიწები, და გერმანელ მცხოვრებლების სული კი არა.

შტეტინის გემმა, ამერიკის იმ გემიდან, რომელიც ამელანდთან ნაღმს დაეჯახა, 10 კაცი გადაარჩინა. დაღუპულები ზღვაზე 14 საათი ნავებში იყვნენ. აკლიათ კიდევ 42 კაცი.

მოსკოვიდან მოსული ცნობით ბალშევიკებმა ბრძოლის შემდეგ კიევი აიღეს. თეთრი ჯარი გაიქცა.

გერმანიის ეროვნულ კრებაში მემარჯვენე პარტიებმა მთავრობას შემდეგი შეკითხვა წარუდგინეს: გერმანიის სახალხო მეურნეობა, მეურნეობის გადასახადთა და მუშების შესახებ გამოცემული მერყევ ცუდ და უვარგის კანონმდებლობის გამო, დაღუპვის კარზეა მიმდგარი. მცხოვრებთა უმეტესობა სულ მალე დაიმშევა და ველარაფერს ჩაიცვამს სიძვირის გამო. რას ფიქრობს მთავრობა იმის შესახებ, რომ ა) თავიდან აიშოროს მოსალოდნელი სამეურნეო კატასტროფა და ბ) ხელი შეუწყოს იმ ხალხის არსებობას, რომელიც წარმოებაში პირდაპირ მონაწილეობას არ ღებულობს.

მინსკიდან მოსული ბელორუსეთის ცნობით რადას 13 დეკემბერს ახალი პრეზიდიუმი აურჩევია.

ნახშირის სიმცირემ ჰამბურგში ელექტრიული ენერგია მეტად შეამცირა, რამაც შეავიწროვა მრეწველობა. მრავალი მუშა უმუშევრად დარჩა. შესაძლებელია მალე გაზიც გამოილიოს.

ლიონის რადიო-სადგურის ცნობები.

თემთა პალატაში ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ პარლამენტში ბილლი ირლანდიის შესახებ ეხლანდელ სესიაში იქნება შეტანილიო.

ლოიდ ჯორჯის განცხადებით სირიიდან ინგლისის ყველა ჯარები გამოყვანილია. რომის გაზეთები იუწყებიან, რომ დ-ანუნციო უთუოდ რომში მოვა, რათა ნიტტის მოელაპარაკოსო.

კაიროდან იუწყებიან, რომ პრემიერ იუსუფზე თავდასხმა ვერ მოახერხეს.

ქ-ნი მარია პროკხომი ჟენევის ბანკის დირექტორად დაინიშნა. ომის დროს მან საუცხოო ფინანსიური ნიჭი გამოიჩინა. ეს პირველი ქალია, რომელიც ევროპაში თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს. ეხლა შვეიცარიაში ორი მოსამართლე, 9 ვექილი, 3 ინჟინერი და უნივერსიტეტის პროფესორთა დიდი ნაწილი და დოქტორები ქალები არიან.

ახალი ამბები

გზათა დეპარტამენტის დირექტორმა ბ. ჰეჟინაძემ შემდეგი დეპეშა მიიღო ინგლისელ გენერალ როდისაგან: „ვტოვებ რა ბათუმს, მინდა თქვენ და თქვენ კოლეგებს მადლობა გამოგიცხადოთ იმ სტუმართ მოყვარეობისთვისა და მეგობრულ განწყობილებისათვის, რომელიც თქვენ აღმომიჩინეთ მე თფილისში ყოფნის დროს. ვიმედოვნებ, რომ კვლავაც მექნება ბედნიერება თქვენს სტახტო ქალაქს ვეწვიო.

◆ **არჩევნები ზუგდიდის მაზრაში.** მთავრობის დადგენილებით ზუგდიდის სამაზრო ერობის ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია 25 იანვარს.

◆ **სახალხო გვარდიის სავანეები** ბათალიონში შაბათს, 20 დეკემბერს და საინჟინერო გუნდში, თეატრის გახსნის აღსანიშნავათ, კულტურულ განმ. სექცია მართავს გვარდიელთათვის უფასო საღამოს ფართო შინაარსით. დასასრულ დადგმულ იქნება აპოთეოზი: „სოციალიზმი“. საღამოს შემდეგ სტუმრებისათვის გაიმართება ვახშამი.

◆ **დამატებითი არჩევნებისათვის** დღეს, შუადღის 2 საათზე დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის კაბინეტში შესდგება დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიის, პრეზიდიუმის, ყველა ფრაქციათა თითო წარმომადგენლების და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელის შეერთებული სხდომა. სხდომაზე განხილული იქნება დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების საკითხი.

◆ **ქონების იძულებით ჩამორთმევისათვის.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარულათ განუმარტა ქალაქთ, თვითმართველობებსა და ერობებს, რომ თვითმართველობათა შუამდგომლობანი უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევის შესახებ ძალაში შედის სამი კვირის ვადის გასვლის შემდეგ დღიდან მთავრობის მიერ განცხადების მიღებისა.

◆ **რკინის გზის რაიონის სახალხო გვარდიის** შტაბში 13 დეკ. შესდგა მრავალ რიცხოვანი კრება სახალხო გვარდიელების, სალუქვაძის თავმჯდომარეობით. მოსმენილ იქნა 1) შტაბის თავმჯდომარის მოხსენება შტაბის მუშაობის შესახებ და სარევიზიო კომისიის მოხსენება. კრებამ სრული ნდობა და მადლობა გამოუცხადა შტაბს ენერგიული მოღვაწეობისათვის.

◆ **გერმანელთა ეროვნული საბჭო** შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა 25 დეკემბერს, შობის დღესასწაულის გამო ყველა დაწესებულებებიდან განთავისუფლებულ იქნან გერმანელი ლიუტერანები. ამავე დღეს განთავისუფლებულ უნდა იქნან გერმანელი მოწაფეები და მასწავლებელნი.

◆ **ახალი საერობო თემი.** ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა სოფ. გულეიკარი (სენაკის მაზრა), ტოლები, ნოღა, ქორეის უბანი და ბულნარი (ოზურგ. მაზრა) გამოეყოს ხსენებულ მაზრებს და მოეწყოს ცალკე თემი. ამ თემის ცენტრი იქნება ქორეის უბნის ეგრედ წოდებული ამერიკული სანერგე და ეს თემი მიეწერება ქუთაისის სამაზრო ერობას. ამასვე ითხოვენ ხსენებული სოფლების მცხოვრებნი.

◆ **სასურსათო საბჭოს ლიკვიდაციისათვის.** [illegible] რომ შეიმუშავა და ამ დღეებში მთავრობას წარუდგენს [illegible] ცენტრალური სასურსათო საბჭოს ლიკვიდაციისა და მისი ქონების ერობათა კავშირისთვის სასურსათო ოპერაციებისთვის გადაცემის შესახებ.

◆ **უჩაღის მოკვლა.** 12 დეკემბერს საღამოს 7 ს. ქუთაისის მაზრის სოფ. ფერსათში მოკლულ იქნა ცნობილი უჩაღი კონსტანტინე ბღლაძე, რომელიც რამოდენიმე ხნის წინად გაქცეულ იქნა ქუთაისის ციხიდან და რომელსაც ოლქის სასამართლო და საგამომძიებლო უწყება დაეძებდა.

◆ **ლეჩხუმის სახალხო გვარდიის** საოლქო ყრილობისაგან მისალმების დეპეშები მიიღო დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა, მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ, გვარდიის მთავარმა შტაბმა და შტაბის თავმჯდომარემ ვალ. ჯუღელმა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღ. 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში, ყოფილი რუსთა კლუბის შენობა (პლეხანოვის პრ. სახლი 123) დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) მ. შალამბერიძე „ქიმია“, 2) გ. ნათაძე „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის უძველესი ისტორია“.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, ვოლ ლევიცკაიას, როგაჩევსკის, თარხან მოურავის მონაწილეობით „ტრავიატა“.

◆ **ლექცია.** კონსერვატორიის დარბაზში სამშაბათს დეკემბრის 23, პროფესორი შალვა ნუცუბიძე წაიკითხავს ლექციას—პიროვნების თავისუფლება და ქალთა ემანსიპაცია. ლექციის დასაწყისი საღ. 8 ს. ბილეთები 10 მ.—5-მდე, იყიდება ყოველ დღე კაფე „დარბაზში“. ლექციის დღეს კი კონსერვატორიაში.

◆ **დილა.** კვირას, 21 დეკემბერს, დილის 12 ს. ქართულ კლუბში სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო სალიტერატურო წრის სასარგებლოთ გაიმართება სალიტერატურო დილა.

◆ **ხელზე-მოსამსახურეთა კავშირი** აცხადებს, რომ 20 დეკემბერს დანიშნულია ამავე კავშირის დელეგატთა არაჩვეულებრივი ყრილობა (არამიანცის შენობაში, რუსთ. პრ., № 17).

◆ **ეშმაკის მათრახი.** კვირას 21 დეკემბერს გამოვა „ეშმაკის მათრახი“ ს მეხუთე ნომერი. შინაარსი: უბედური შემთხვევა თაგუნასი, სახალხო გვარდია, ლექსი ბუტუნასი, ნინო ჩხეიძის იუბილე, ჩვენი ბურჟები—ეშმაკის, უებარი წამალი. „იუმორისტული განცხადება“, სოციალიზმი-გოგიასი, ინგლისური პრესის აზრი, ქართული ფლოტის შესახებ—მორიელი ორი მეტოქე (თარგმანი), დეპეშები. ქრონიკა და ფოსტა. ჟურნალში მოთავსებულია 16 კარიკატურა.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** ვალის გადაუხდელობის გამო ორშაბათიდან გაზეთების გზავნა შეუწყდება სუფსას.

კრებები

შაბათს, 20 დეკემბერს, საღამოს 6 ს. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

— კვირას, საღამოს 5 ს. შესდგება შეერთებული კრება საქ. ახ. მ. ცეკას და პროპაგანდისტთა კოლეგიისა.

— კვირას, დილით 10 ს. დანიშნულია არამიანცის სახლში რუსთაველის პროს. № 17, პროფესიონალური კავშირების ბინაზე საზოგადო კრება ხეზე მომუშავეთა აღმაშენებლებისა და მხერხავების კავშირების წევრებისა. გასარჩევია რთული საკითხები, დასწრება აუცილებელია.

— დღეს, საღამოს 8 ს. ჩუღურეთის ახალ გაზრდა მარქსისტთა კრებაა. (19 თებერვლის ქუჩა № 9).

— აღმოსავლეთ საქ. საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირის გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 21 დეკემბერს დილის 11 ს. ვაჟთა I გიმნაზიაში დანიშნულია კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

— დღეს, საღამოს 7 ს. დანიშნულია სახელმწ. უნივერსიტეტისათვის სამეცნ. სალიტ. წრის საერთო კრება.

ნინო ჩხეიძის იუბილე

ქალაქის გამგეობისაგან საიუბილეო კომიტეტმა შემდეგი ტელეფონოგრამა მიიღო: „გაცნობებთ, რომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიენდოს აკაკი პაპავას მონაწილეობა მიიღოს ქალაქის თვითმართველობის სახელით საიუბილეო კომიტეტში და დღესასწაულის დღეს მიესალმოს იუბილარს. კითხვა ნივთიერი დახმარების შესახებ გადაწყდება“.

დილა სახელმწიფო თეატრში

I. 12 საათისთვის საიუბილეო კომიტეტის წევრნი და დამსახურებულნი მსახიობნი იუბილიარს ბინიდან თეატრში მიაცილებენ.

II. დღესასწაული დაიწყება ზუსტ 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათზე. ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომლებიც იუბილეში მონაწილეობას იღებენ, ამ დროს სცენაზე უნდა იყვნენ.

III. იუბილეს გახსნის კომიტეტის თავმჯდომარე და შესაფერ სიტყვას წარმოსთქვამს.

IV. სახელმწიფო თეატრის ორკესტრი შეასრულებს შესვედრას, რომლის დროსაც მსახიობი ვასო აბაშიძე იუბილიარს სცენაზე გამოიყვანს.

V. პირველ მისასალმებელ სიტყვას ქართული თეატრის სახელით იტყვის ვასო აბაშიძე.

VI. შემდეგ სიტყვებს წარმოსთქვამენ სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები

VII. დილის ზეიმი დასრულდება „აბესალომ და ეთერის“ მე-2 აქტის შესრულებით.

საღამოს წარმოდგენა იუბილიარის მონაწილეობით.

1. „უბედური ნაბიჯი“, დრ. 3 მოქმედებით.
2. „ღალატი“. მეხუთე მოქმედება.

უცხოეთი

რუსეთი.

მოხალისეთა პრესა და ინგლისი. მოხალისეთა პრესა კვლავ ენერგიულად განაგრძობს ინგლისის პრემიერის ლოიდ-ჯორჯის განცხადების აწონ დაწონვას. გ. სუვორინი გაზ. „ვეჩერნეე ვრემია“-ში სწერს: ორი აზრი დაუშვებელია—ლოიდ ჯორჯმა გადაჭრით გაილაშქრა რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, რას იტყვის თვით ინგლისი, არა ლოიდ ჯორჯი. ავტორი იმედს არ ჰკარგავს, რომ ინგლისის სარდლობა გარეკავს ბურუსს და კვლავ დაამტკიცებს, რომ ინგლისი ისევ დენიკინის მხარეზეა. გაზ. „დონსკაია-რეჩ“ი უხსნის ევროპას, რომ მოხალისეთა ჯარი მფარველობას უწევს ევროპას, როდესაც ბოლშევიზმს ებრძვის ისე, როგორც ერთ დროს რუსეთმა იხსნა ევროპა მონგოლების შესევისაგან. გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისის პოლიტიკა მეგობრულია ტაგანროგში და როსტოვში; ხოლო იგივე პოლიტიკა მტრული ხასიათისაა, როდესაც რეველრიგაში და თფილის ბაქოში გადადის. გაზეთი ამბობს: „ჩვენ არ ვითხოვთ, ჩვენ არა ვართ ბავშვები, რომ რჩევა გვჭიროდეს, არამედ ჩვენ მოკავშირენი ვართ... და როგორც სწორს სწორებისაგან, შეგვიძლია სამართლიანი პასუხი მოვითხოვოთ: სად სწარმოებს ინგლისის ნამდვილი პოლიტიკა? ტაგანროგში თუ რეველში.

დენიკინის ფრონტი. მოხალისეთა ჯარების მთავარსარდალი გენ. ვრანგელი ასე ხსნის საბჭოთა ჯარების წარმატების მიზეზებს. სხვადასხვა ადგილებიდან ბოლშევიკებმა დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი მოხალისეთა წინააღმდეგ. მოხალისეთა ჯარი ამიტომ იძულებული იყო უკან დაეხია ხარკოვ პოლტავის ხაზზე და ასე, ფრონტი გაესწორებინა. გენ. ვრანგელს იმედი არ აქვს დაკარგული. ამის მაგალითს მას აძლევს ცარიცინის ისტორია. იქაც ბევრათ მეტი იყვნენ რიცხვით ბოლშევიკები, მაგრამ მოხალისეებმა მაინც შეინარჩუნეს ქალაქი.

მოხალისეთა გაზეთების სიტყვით, ბოლშევიკების მიერ დაკავებულ ადგილებიდან მრავლათ მოდიან ლტოლვილნი—მთელი სოფლები ცარიელდება. უმეტეს ნაწილად ლტოლვილნი თავს იყრიან როსტოვში, სადაც ბინის სივიწროვისა და სათბობი მასალის უქონლობით ხალხი დიდ გაჭირვებაშია.

რუმინია.

საზღვარის დახურვა. რუმინიის სახელმწიფო საზღვრებზე შემდეგი პლაკატებია გამოკიდებული: „რუმინიის საზღვრები დახურულია ყველა იმათთვის, ვინც რუმინიასთან მტრულ განწყობილებაში მყოფ სახელმწიფოს ქვეშევრდომნია და აგრეთვე რუსებისათვის“.

ოსმალეთი

ოსმალეთის საკითხი. ინგლისური გაზ. „ლე მატინი“ ოსმალეთის საკითხის შესახებ შემდეგს სწერს: ოსმალეთის საკითხი მანამდე არ გადაწყდება, სანამ შეერთებული შტატები არ დასთანხმდებიან მიიღონ მონაწილეობა ამერიკის გარეშე წესრიგის დამყარებაში. გაზეთი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ინგლისელები, აგრეთვე ფრანგები მოიქანცენ დიდი მუშაობით, რასაც ისინი ეწევიან სხვადასხვა სახელმწიფოში წესრიგის დასამყარებლათ. ოსმალეთი, გაზეთის აზრით, ეხლა იმედით შეჰყურებს ამერიკას, რომელსაც სთხოვს არ მოაკლოს ოსმალეთს თავისი მზრუნველობა და გაზეთიც მოუწოდებს მას გაუმართლოს ოსმალებს იმედი და იზრუნოს მასზე.

ავსტრია.

ავსტრია და უნგრეთი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს კანცლერ რენერმა განაცხადა: ავსტრიისა და უნგრეთის ეკონ. ინტერესები ისე გადახლართულია ერთი მეორეზე, რომ აშკარა ხდება საჭიროება, რათა ამ ორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის ახლო მეგობრული კავშირი დამყარდეს. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ როგორც ავსტრიაში, ისე უნგრეთში დემოკრატიულ რესპუბლიკანური წესწყობილება არსებობს. მისი აზრით არასასურველ განწყობილებას შექმნიდა ის გარემოება, თუ უნგრეთი სხვა გზას აირჩევდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ორი მეზობელი სახელმწიფო სხვადასხვა პოლიტიკურ ენაზე დაიწყებდენ ლაპარაკს.

ჩეხია.

მუშათა ბანკი. გაზ. „პრაგერ ტაგებლატ“-ის ცნობით ჩეხელ სოც.-დემოკრატიულ პარტიას გადაუწყვეტია დაარსოს განსაკუთრებული მუშათა ბანკი, რომლის ძირითადი თანხა 30 მილ. კრონს უდრის. ბანკი უნდა გადაიქცეს ფინანსიურ ცენტრათ, რომელიც დახმარებას გაუწევს მომხმარებელთა საზოგადოებებს და ყველა იმ დაწესებულებებს, რომელნიც სოც.-დემ. პარტიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ბანკი თავის მუშაობას, როგორც ამბობენ, 1920 წლის 1 იანვრიდან დაიწყებს. სათავეში ყოფილი ფინანსთა მინისტრი სუკუპი ჩაუდგება.

საფრანგეთი.

ელზას ლორენი. გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ის გადმოცემით ელზას-ლორენის ცხოვრება საგრძნობათ გაუმჯობესდა და მას შემდეგ, რაც კლემანსოს წინადადებით ნაწილი ფრანგ მოხელეებისა მხარეში შეცვლილ იქნა ადგილობრივ მცხოვრებლებით.

ქაღალდის ფული და დავალიანება. გაზეთი „ტანი“ ეხება სიძვირესთან ბრძოლის საკითხს და სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ქაღალდის ფულის გამოშვებას. ომამდე საფრანგეთში ბლომად ტრიალებდა ოქრო. საფრანგეთი მსოფლიოს კრედიტორი იყო. ქაღალდის ფულის ნიშნები ნაკლებად იყო ბაზარზე და არასოდეს თავის ღირებულება არ დაუკარგიათ. ამ ჟამად კი ქაღალდის ფულის ფასი დაეცა. სახელმწ. დავალიანდა მას მართებს საფრანგეთის ბანკისა 30 მილიარდი. ამავე დროს ქაღალდის ფულის ნიშნები გამოშვებულია 37 მილიარდი ფრანკის. იმ დროს, როდესაც ლითონის ფული არ აღემატება 6 მილიარდ ფრანკს. არავითარ ძალას არ შეუძლიან შეაჩეროს ქაღალდის ფულის ღირებულების დაცემა. საჭიროა შეიქნეს ისეთი პირობები, რომ არსებული მდგომარეობა გამოსწორდესო.

ადერბეიჯანი.

ბაქოს ფინანსიური მდგომარეობა. ქალაქის თვითმართველობის ფინანსიური მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. ქალაქს არ გააჩნია ფული, რომ ნოემბრის ჯამაგირები დაურიგოს ქალაქის მუშა მოსამსახურეებს, რაც აუტანელ პირობებში აყენებს უკანასკნელებს. რომ ცოტათი შეამსუბუქოს მდგომარეობა, თვითმართველობა სთხოვს ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს მისცეს მას 100 ათასი მანეთი იმ 500 ათას მანეთიდან, რომელიც ქალაქმა შეიტანა სამინისტროში ფურაჟის შესაძენათ.

„პოგრომის“ წინააღმდეგ. 14 დეკემბერს ბაქოში შესდგა საინიციატივო ჯგუფის კრება, რომლის მიზანსაც შეადგენს ბრძოლა როგორც ებრაელების, ისე სხვა ეროვნების მცხოვრებთა დარბევის წინააღმდეგ ბრძოლა. ჯგუფში შედიან: ექიმების, ვექილების, ჟურნალისტების, პედაგოგების და კოოპერატორების წარმომადგენელნი.

სომხეთი.

მთავრობის სისუსტის გამო. ყარსის ოლქის მკვიდრ მუსულმანთა ორგანიზაციამ შემდეგი მოწოდებით მიმართა იმავე ოლქის მკვიდრთ ბერძნებსა და სომხებს: ყარსის ოლქში წარმოუდგენელ მკვლელობასა და ძარცვა-გლეჯას აქვს ალაგი. მძარცველები—„კახთაგანები“ ყოველდღე ესხმიან თავს ადგილობრივ მცხოვრებთ, განსაკუთრებით მუსულმანებს და მირეკავენ მათ საქონელსა და სხვ. ერევნის მთავრობას ძალა არ ყოფნის მოსეულ მძარცველებს გაუმკლავდეს და დაიცვას აოხრებისაგან ადგილობრივი მცხოვრებნი. ადმინისტრაციის ზოგიერთი წევრებიც არ თაკილობენ მონაწილეობა მიიღონ ძარცვა-გლეჯაში. ყარსის გენერალ გუბერნატორმა არა ერთხელ განაცხადა, რომ მას ძალა არ შესწევს შეებრძოლოს მძარცველებს. ამის გამო ორგანიზაცია მოუწოდებს შემოკრბენ მის გარშემო ყველა ადგილობრივი ბერძნები და სომხები და შექმნენ ერევნის მთავრობიდან დამოუკიდებელი შერეული მთავრობა, სანამ ოლქის ბედი საბოლოოთ გადაწყდებოდეს საზავო კონფერენციაზე.

სათესლეს ნაკლებობა. სომხური „ჰარაჩ“-ი სწერს: სახელმწიფოს ყველა კუთხიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ არ არის სათესლე, რის გამოც ბევრი მიწები დაუთესავი რჩება. შემოდგომაზე ცოტა დაითესა; უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე სურათი იქნება გაზაფხულზე. გლეხს აღელვებს შექმნილი მდგომარეობა და გაზეთიც მოუწოდებს მთავრობის ორგანოებს სერიოზულათ დაფიქრდენ გლეხის გასაჭირზე.

იტალია.

საერთაშორისო ფინანსიური კონგრესი. 1920 წლის დასაწყისში რომში შესდგება საერთაშორისო ფინანსიური კონგრესი, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი ფულის კურსის მოგვარების შესახებ. ინიციატორებათ ითვლებიან შვეიცარია, ისპანია და შვეცია, სადაც კურსმა აიწია შესამჩნევათ.

გვარდიის დღე

პროვინციაში.

ახალციხე. 12 დეკემბერი ისტორიულ დღეთ ჩაითვლება ახალციხისთვის. დილიდანვე ქალაქს არა ჩვეულებრივი მოძრაობა ემჩნეოდა. მთელი მცხოვრებნი გამოსულიყვნენ ქუჩებში, გვიდენ, ასუფთავებდენ და რთავდენ ქალაქს. დუქნები დილიდანვე დაკეტილი იყო, რომლების წინ ეროვნული დროშები ფრიალებდენ.

9 ს. სახალხო გვარდიის შტაბთან თავს იყრიან მთელი მაზრის გვარდიელები. აქვე დგას ორი პატარა და ერთი საბარგო ავტომობილები, რომლებსაც სადღესასწაულოთ რთავენ.

10 საათიდან ქალაქის ბაღის წინ გროვდება ხალხი, ჯარი, გვარდიელები. მოდიან აგრეთვე ქალაქის ამქრები დროშებით,—პროფესიონალურ კავშირის წევრები, მუშები, მილიცია და სხვები.

ლამაზათ მორთულია სახ. გვარდიის შტაბი, ქუჩის პირს დერეფანზე წითელ ბაირაღებსა და ცოცხალ ტოტებში მოუთავსებიათ ნ. ჟორდანიას სურათი. ცოტა ქვევით ჰკიდია პლეხანოვის სურათი. ლამაზათ არის მორთული სოც დემ. პარტიის ბიურო.

10 ს. 30 წუთზე შტაბიდან დაიძრა ლამაზათ მორთული საბარგო ავტომობილი, რომელიც შემოსილია ხალიჩებით, ნაძვის ტოტებით და წითელი დროშებით გვერდებზე აკრული აქვს აფიშები, მოწოდებები და სხვა. ზემოთ ნაძვის ხეებზედ გაბმულია წითელი ფარჩები. წინ კარგათ მორთულ ადგილას ჰკიდია მუშათა კლასის მოძღვარ კ. მარქსის სურათი.

იქვე ნოხებით მოფენილზედ ზის წითლებში გამოწყობილი ბავშვი, რომელსაც წინ გამოქარგული აქვს რიცხვი 12. ავტომობილის ბოლო ნაწილზედ დგანან ხელი-ხელ ჩაკიდებული ჯარის კაცი და გვარდიელი, მათ შუაში გაჩერებულია სოფლის მუშა, ცულით მხარზედ. ავტომობილის შუა ადგილას ამაღლებულზედ დგას მუშა მლებავი კისტით და ვედროთი ხელში.

ქუჩაში გამოფენილი ხალხი „ურა, ვაშას“ ძახილით ეგებება ავტომობილს.

11 საათზე ბაღის წინ ქუჩები გაივსო ხალხით. ჰაერში ფრიალებენ წითელი დროშები, ამქრების ბაირაღები და სხვა. ქუჩის ერთ მხარეს დგას გვარდია და ჯარი, მეორეზე კი, სადღესასწაულოთ მორთული ხალხი.

გენ. ვაშაკიძე მიესალმება გვარდიას, ჯარს და ულოცავს დღესასწაულს, ის აღნიშნავს გვარდიის მნიშვნელობას, მის ღვაწლს, იხსენიებს დამფუძნებელ კრებას, ნ. ჟორდანიას და სხვებს. გენერლის სიტყვის დამთავრების შემდეგ ისმის ურა, ვაშა, მუზიკის დამატკბობელი ხმა, ზარბაზნების გრიალი და ზარების რეკა.

გენერლის შემდეგ მგრძნობიარე სიტყვით ესალმება—ახალციხის გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ამხ. ვ. ალიხანოვი.

ახალციხის ორგანიზაციის საქ. სოც. დ პარტიის სახელით ამხ. ირ. ბოლქვაძე მოკლედ აღნიშნავს გვარდიის ღვაწლს ჩვენს ცხოვრებაში.

შემდეგ ესალმებიან ერობის, ქალაქის, მუშა პროფესიონალური კავშირებ ს, სოც-ფედერალისტების და ებრაელების წარმომადგენლები.

მისალმების შემდეგ პარადს იღებს ამხ. ალიხანოვი და გენერალი ვაშაკიძე. ამით თავდება დილის დღესასწაული.

საღამოს საზეიმო კლუბში გაიმართა დიდი საღამო.

ქვაყუდელი.

ქ. ზუგდიდი. ქ. ზუგდიდი არა ჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა გვარდიის დღეს. ქუჩებში არა ჩვეულებრივი მოძრაობა იყო. საგანგებოთ იყო მორთული შტაბის ბინა, ქალ. თვითმართველობის და პოლიტიკური პარტიების ბინები. დილის 9 ს. ქუჩებში მოძრაობდა ავტომობილი ყვავილებით და წითელი ალამებით მორთული. შიგ ისხდნენ გვარდიელები ტყვისმფრქვეველებით. 11 ს. საზეიმოთ გამოიშალენ ქუჩებში ადგილობრივ სასწავლებელთა მოსწავლენი დროშებით. ქალაქის ბაღის წინ დანიშნულ ალაგზე იწყო აურებელმა ხალხმა თავის მოყრა. ყველა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან დროშებით აქ თავს იყრიდენ.

12 საათზე გამოჩნდა გვარდიელების ასეული.

პარადი მიიღო შტაბის თავმჯდომარე ვ. მონიავამ. მის მოწოდებაზე,—გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს მის დამცველ გვარდიას და ჯარს, იფეთრებოდა ყიჟინით და ძახილით: ვაშა, ვაშა!..

მიტინგზე ვრცელი სიტყვით გამოდის შტაბის წევრი ამხ. ექვ. სართანია. მან მდაბიოთ აუხსნა ხალხს გვარდიის დღის მნიშვნელობა და სხვა.

სიტყვა წარმოსთქვეს მაზრის ერობის, ქალაქის თვითმართველობის, პროფესიონალური ორგანიზაციების და სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებმა. ილაპარაკა დამფუძნებელი კრების წევრმა ალ. ჩიქავამ. დასასრულ მიტინგმა დეპეშა გაუგზავნა მთავარ შტაბს, დამფ. კრების პრეზიდიუმს და მთავრობის თავმჯდომარეს. საღამომდე ქუჩები დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით დაუსრულებელი მსვლელობა იყო. საღამოს მოსამსახურეთა საკრებულოს დარბაზში გაიმართა დიდი საღამო. საღამოს შემოსვლით დაიფარა ხარჯები. დღესასწაულში ყველა მოწინავე ძალებმა მიიღეს მხურვალე მონაწილეობა. ქ. ჩ—ნი.

ს. ჩიბათი (გურია). 12 დეკემბერს, ჩიბათში შესდგა მიტინგი გვარდიის აღსანიშნავათ. გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ჩიბათის თემის დემოკრატია სალამს უძღვნის საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, საქართველოს საუკეთესო შვილებს—სახალხო გვარდიელებს და ჯარის კაცებს. ფიცს სდებს, რომ იქნება მუდმივი დამცველი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და მთავრობის. თავმჯდომარე ვ. ტუხკია.

ბათუმი. დღესდღეობით ჩვენ იმითაც კმაყოფილნი ვართ, რომ აქ, ამ ჩვენი მამა-პაპების სისხლით გაპოხიერებულ ქალაქში უცხო ქვეყნიდან მოსულნი შვილნი არ გვიშლიან ეროვნულ დღესასწაულში მონაწილეობის მიღებას. 12 ქრისტეშობისთვეს ბათუმის ქუჩებზე ყველა ქართველის სახლის კარებთან და აივანზე ამართული იყო და ლამაზათ ფრიალებდა ეროვნული დროშა, რომლის დანახვა ჩვენს მტრებს მოსვენებას არ აძლევდა და ეკალივით ესობოდა თვალებში.

ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა, როცა ჩქარი სახალხო მატარებელი № 1 საზეიმოთ მორთულ-მოკაზმული ეროვნული დროშებით და ვარდყვავილებში გახვეული სადგურში შემოიჭრა. ეროვნულ დღესასწაულს ბუნებაც ხელს უწყობდა. დღე მზიანი და თბილი იყო, თითქოს გაზაფხულიაო. ხალხი პირმცინარი და მხიარული გამოვიდა ვაგონებიდან და გაიფანტა ქუჩებში.

ჩვენს საკონსულოში, რომელიც სადღესასწაულოთ მორთული იყო, რიგრიგობით შედიოდენ სტუმრები მისალოცათ. ჩვენ, რკინისგზელებმაც მოვიყარეთ თავი და ვეწვიეთ ჩვენს კონსულს. ჩვენს კრებულში შედიოდა სადგურის უფროსი ი. ყაზახიშვილი, რევიზორი ნ. ლორთქიფანიძე, პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარის ამხანაგი გიგიბერია, ბილეთების მოლარე გ. კიკვაძე, მეარტელე ცინცაძე, ამწონელი ხუხუნი, მატარებლების რევიზორი მასხულია და სხვები.—ბ. კონსულთან სადარბაზოთ იყვნენ აგრეთვე გენერლები მუსხელაშვილი და ფურცელაძე.

დარბაზი ცოცხალი ყვავილებით და მცენარეებით იყო მორთული. ყვავილები, მცენარენი და დარბაზის ყოველი კუნჭული და არე მარე ისე ნაზათ და სიყვარულით გვაძლევდა სალამს ყველას, როგორც მასპინძელი კონსული ბ. ჩინიძაშვილი. ჩვენი მილოცვის შემდეგ მასპინძელმა ამ დღის შესაფერი სიტყვა სთქვა და აღნიშნა, თუ რა დიდი და დაუფასებელი სამსახური მიუძღვის ჩვენს გვარდიას სამშობლოს წინაშე.

ბათუმის ოლქი და თვით ბათუმიც თავის დედა სამშობლოს საქართველოს განუყოფელი ნაწილია და შეუერთდებაო.

ამის საპასუხოთ დიდათპატივცემულმა მამელ ბეგ აბაშიძემ დაახლოვებით შემდეგი სთქვა: მართალია ჩვენ, ქართველი მუსულმანები ეს მეოთხე საუკუნეა რაც მაჰმადის სარწმუნ. ვაღიარებთ და თქვენ ქრისტეს მოძღვრებას ასრულებთ მარა ეს სულაც არ გვაშინებს ჩვენ და უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ, სანამ პირში სული გვიდგას და ქართულად ვლაპარაკობთ, ვერავითარი ძალა ვერ გაგვითიშავს. სარწმუნოება ეროვნებას ვერ მოსპობს, ამის დამამტკიცებელია ის, რომ ძველათ ქართველობა კერპთაყვანისმცემელნი იყვნენ, მაგრამ თავიანთი ენა და ეროვნება არ დაუკარგავთ, პირიქით, უფრო განუმტკიცებიათო. ბუნების წინააღმდეგ ვერავინ წავა. და სცდება ის, ვინც ჩვენს გადაგვარებას და გათიშვას ცდილობსო. ჩვენ ეროვნებით ქართველები ვიყავით, ვართ და ვიქნებით, გაუმარჯოს ჩვენს ეროვნებას და ჩვენს ერთობას, გაუმარჯოს ქართველ ჯარს და გვარდიასაო.

ამის შემდეგ მიულოცა სადგურის უფროსმა ი. ყაზახიშვილმა და აღნიშნა, რომ რკინის გზის მოსამსახურენი და მათი წრიდან გამოსული გვარდია ყოველთვის იყვნენ პირველ რიგში რევოლიუციის, თავისუფლების და სამშობლოს დასაცავათ. გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას და მის ხელმძღვანელს ვალიკო ჯუღელს

გენერალმა მუსხელაშვილმა თავის სიტყვაში ქებით მოიხსენია რკინის გზელები და სთქვა, რომ ჩვენი რკინის გზელთა ტეხნიკური ცოდნით და მომზადებით არა თუ ჩვენ, ინგლისელებიც გაკვირვებულნი და აღტაცებულნი არიანო. გაუმარჯოს ჩვენს ჯარს და ჩვენს გვარდიასო.

უკანასკნელათ სიტყვა სთქვა და მიულოცა რკინის გზის პროფესიონალურ კავშირის სახელით ამხ. გიგიბერიამ. დღეს რკინის გზის პროლეტარიატი სხვებთან ერთად დღესასწაულობს 2 წლის თავს ჩვენი საყვარელი გვარდიის არსებობის დღეს. ამ 2 წლის განმავლობაში ჩვენმა გვარდიამ, რომელშიაც მრავალნი არიან რკინის გზის ოჯახიდან, ბევრი მსხვერპლი გაიღო ჩვენი კუთხის სხვადასხვა ფრონტებზე და თავის მადლიანი მარჯვენით დაუფასებელი სიკეთე მოგვანიჭა. დიახ, 12 ქრისტეშობისთვემ მოგვანიჭა ჩვენ თავისუფლება და დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩვენი ვალია ჩვენს გმირებს ვაშა და გამარჯვება შევსძახოთო. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას, ჩვენს ჯარს და ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკასაო.

ვასილ მასხულია.

სენაკის სამაზრო ერობის ხმოს. მესამე ყრილობა

(შემდეგი)

აგრარული განყოფილება. (მომხსენებელი გაოყ. გამგე ანდ. ანჯაფარიძე). ისტორიამ აგრარულ კომიტეტს უდიდესი როლის შესრულება დააკისრა, აგრარული კითხვა ცხოვრებაში ახალია, ის ჯერ დედამიწის არც ერთ კუთხეში საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, ამიტომ ამ მწვავე და კარდინალურმა კითხვამ ბევრი ქვეყანა აწეწ დაწეწა, კერძოდ რუსეთი კი ანარქიის კლანჭში გახვია. ჩვენში, საბედნიეროდ, ამ კითხვის გადაჭრა ისე არ გამწვავებულა, როგორც ეს იყო მოსალოდნელი, ამიტომ რომ ჩვენში სახელმწიფოებრივი შენება ნორმალური გზით მიდის ცხადია, თუ აგრარული კითხვა სასურველად და დროზე გადიჭრა, ცხოვრებაც ნორმალურად დაიწყებს მიმდინარეობას და ანარქიას არ ექნება ადგილი. თუ ანარქიას ჩვენში არ ჰქონდა ადგილი დღემდე, ეს იმის მომასწავებელია, რომ მიწის საკითხი მშრომელ გლეხების სასარგებლოთ იჭრება ვიმეორებ, ეს კითხვა ძნელი იყო და ამიტომ ერთ ორ წელიწადში ის სავსებით ვერ მოგვარდა; სხვა დარჩა დეკრეტის გამოცემა და სხვა დარჩა მისი ცხოვრებაში გატარება-განხორციელება. წარმოიდგინეთ მიწის ჩამორთმევამ შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა, ვიდრე ჩამორთმეულის საკუთრებათ გადაცემა. ჩვენს რაიონში ჩამორთმეულის გადაცემას შეუდექით გაზაფხულზე და ამას წინ გადაეღობა საგაზაფხულო სეზონი მიწის დათესის. სოფლის ფხიზელი ელემენტი, ხალხის მეგობრები სხვადასხვა საზოგადო საქმეში იყო გაწვეული, (ზოგი ფრონტზე) ამით ისარგებლეს სოფლის დროიძეებმა „კულაკებმა“ და მიწები მოხნეს—დაიჩემეს და ძნელი დარჩა ჩამორთმევა და მაზე გადაცემა, ვისზედაც უფრო უპრიანი იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი თემი მეორე თემს დაეჭიშპა, ერთი მაზრა მეორე მაზრას, და ამ ნიადაგზე კინაღამ სისხლიც დაიღვარა, მაგრამ როგორც იქნა ეს თავიდან ავიშორეთ. დავაარსეთ მიწის განმანაწილებელი კომისიები და ყოველივე ღონით შევეცადეთ უმიწოთ არ დარჩენილიყო და არ დაჩაგრულიყო ღარიბი და ნამდვილი უმიწაწყლო გლეხობა. სამწუხაროთ კომისიებს ზოგ ადგილას არ დაემორჩილენ და იძულებული ვიყავით მიგვემართა ძალისათვის, რამაც სასურველი შედეგი მოგვცა, მაგრამ ამან წაგვართვა მთელი ზაფხული და პირდაპირ ჩვენს საქმეს შეუდექით მხოლოდ მაისის ბოლოდან.

მუშაობის საწარმოებლათ ჩვენ გვჭირდებოდა მიწისმზომელები ათი მაინც, სამინისტრომ კი გამოგვიგზავნა მხოლოდ 8 და იმათშიაც სიწორით მუშაობა შეეძლო მხოლოდ სამს, ამის წყალობით მიწის ჩამორთმევა-მიღება ვერ მოვასწარით თავის დროზე. პირველ ხანებში (მაგ. მარტში) მემამულეებს არც კი სჯეროდათ მიწის რეფორმის, ვიბარებდით, არ ცხადდებოდენ, გლეხებიც ეჭვის თვალით უცქეროდენ რეფორმას, გვეძახოდენ „ცუგნებს“. წელს კი ორივემ დაიჯერა, რომ აღარ ვხუმრობთ, ამიტომ მემამულე და გლეხიც ერთი მეორეს შეეჯიბრა: მემამულე ცდილობდა ნორმაზე მეტი მიეღო, გლეხებიც ფხიზლად იყვნენ და მემამულის „მახინაციებს“ ამჟღავნებდენ. ამ ნიადაგზე გაჩაღდა კინკლაობა და კომისიას დაურჩა გასარჩევად 2807 საჩივარი. [illegible] ტესად, რასაკვირველია, მემამულეები სჩივოდენ, გლეხებიც ზოგჯერ აჭარბებდენ და უდაბურ სადავოთ ხდიდენ, მაგალითად მ[illegible] სადავოთ გახადეს და მოინდომეს დაპატრონება, [illegible] ზოგი თემიც მიწის მზომელებს სათანადოთ არ უწყობდა ხელს, ყოველ შემთხვევაში იმედი გვაქვს ორ თვეში ამ საქმეს მოვრჩებით, მერე კი შევუდგებით მის განაწილებას. საფონდო მიწის ლალის აკრეფა წელს ოდიშის დამშევის გამო საძნელო იქნება, სულ ასაკრეფია 15 ათასი ფუთი სიმინდი, რომელიც რათაც უნდა დაგვიჯდეს მაინც უნდა ავიღოთ. შეკითხვებზე მომხსენებელმა უპასუხა, რომ ყველა ითხოვს მამულები გადაიქცეს კერძო საკუთრებათ, თუ გინდ ეს იყოს ყიდვით. სამეგრელოდან სხვაგან გადასახლების მსურველი, მეტადრე მთა ადგილებიდან, ბევრი აღმოჩნდა, მსურველი ასობით იყო, მაგრამ ყველა მიილტვის შავი ზღვის პირისაკენ და არა აღმოსავლეთისაკენ. (ყრილობამ განყოფილების მუშაობა დაადასტურა და დაადგინა: მიწის საბოლოო განაწილების დროს ყურადღება მიექცეს მცხოვრებთა ულარიბეს ნაწილების ინტერესების დაცვას).

სასურსათო განყოფილება (გამგე-მომხსენებელი ბ. რაჟ. გამსახურდია). წარსული საჭირნახულო წელი ჩვენთვის ბედნიერი იყო, ჩვენი სიმინდი გვკმაყოფილებდა და გარეთ გასატანიც გვქონდა, ჩვენც ვაწარმოებდით სიმინდის ოპერაციებს და ვაწოდებდით დამშეულ მაზრებს).

ამ ოპერაციით ჩვენ ვაჭრავდით ჩვენი ამრჩევლების (სენაკის მაზრის) ინტერესებს, მაგრამ სამაგიეროთ ვემსახურებოდით სახელმწიფო ინტერესებს, შევებრძოლეთ სპეკულიანტებს, ადგილობრივ სიმინდის ფასი დავწიეთ, მაგრამ ამით ხომ დამშეულ კუთხეებს სამსახური გავუწიეთ. სიმინდს ვაწოდებდით სახელმწიფოს ცენტრს, რომელიც უნაწილებდა კუთხეებს. ჩვენ შეგვეძლო კიდევ მეტი გაგვეკეთებინა, მაგრამ მთავრობამ ყველას, ვინც კი რკინის გზის ბილეთს შეიძენდა თითო ბილეთზე ნება ეძლეოდა ხუთი ფუთი სიმინდი გაეტანა, ამით სპეკულიანტებმა ფართოდ ისარგებლეს, ბევრი ბილეთებს ასობით ყიდულობდა და მაშასადამე ხრიკით გაჰქონდენ ვაგონობით, ზოგი კიდევ ფოსტითაც აგზავნიდა. ეს იყო მთავრობის შეცდომა და ამ შეცდომამ მაზრა სიმინდისგან გასცალა და ჩარჩები გაამდიდრა. წლევანდელი წელიწადი ჩვენთვის დიდათ უბედურია, მაზრა დამშეულია, ჩვენ გვაკლია რვაასი ათასი ფუთი სიმინდი, ერობაც და თვით მთავრობაც ცდილობს ხალხი დამშევისაგან იხსნას, მაგრამ თვით თუ ჩვენ არ ვეცადეთ, რაც გვაქვს მისი დაზოგვით მოხმარა, ისე ვერაფერი ვერ გვიშველის, ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ის რომ ზედმეტს სჭამს, ან უწესრიგოთ, დაუზოგავათ სჭამს, ამით ის მეორეს ამშევს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ რომ ნემეცებსავით დაზოგვა შეგვეძლოს და ამავე დროს გარდა მჭადისა ბოსტნეულსაც მოვიშველიებდით, მაშინ შინაური სიმინდითაც, რაც თვით გვაქვს იმითიც კი შიმშილით არ ამოვწყდებით.

ყრილობამ ეს მოხსენებაც დაადასტურა) ჩ—კოხი.

(შემდეგი იქნება)

ჩრდილო კავკ. რაზ. პ. თავდასხმის საბჭოს ცნობა

დერბენტის ფრონტი.

2 დეკემბერს ჩვენმა მზვერავებმა განიზრახეს თავს დასხმოდნენ სადგურ ბელიჯისთან მტრის მუშებისა და ჯავშნიან მატარებლებს. მტრის ტყვიის მფრქვეველთა და ზარბაზნების ცეცხლმა ჩვენი მზვერავები იძულებულ ჰყვეს შეეჩერებინათ წინსვლა და მცირე ბრძოლის შემდეგ, მზვერავთა რაზმმა უკან დაიხია. ჩვენ მოგვიკლეს 6 კაცი, დაგვიჭრეს 4, მათ შორის [illegible] დაიღუპა პირველი ბატარეის პორუჩიკი მ.

3 დეკემბერს მტერი გავდევნეთ სადგურ ბელიჯიდან, სადაც მან დასტოვა 30 მოკლული ყაზახი

4 დეკემბერს ჩვენ დავიჭირეთ სოფ. აგლაბთან მდებარე ხიდი.

5 დეკემბერს ორივეს მხრიდან მზვერავთა ნაწილების სროლაა. საღამოთი ჩვენ სროლა აუტეხეთ მტრის მუშათა მატარებელს. მტერმა 20 მოკლული დასტოვა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 12 კაცი.

6 დეკემბერს სადგურ ბელიჯითან გაცხარებული სროლა იყო მტრის ჯავშნიან მატარებელს და ჩვენ ნაწილებს შორის. მტერმა ცეცხლი გაუხსნა სადგურის მახლობელ შენობებს. ჩვენ უკუ ვაქციეთ მოწინააღმდეგე და სადგური კვლავ ჩვენ ხელშია.

7 დეკემბერს ჩვენმა ნაწილებმა დაიპყრეს მიტაგი, ქებახი, რუკელი, ფედანი, საბუნგა.

8 დეკემბერს გათენებისას ჩვენმა ცხე-

ნოსანმა ნაწილებმა სროლა აუტეხეს მოწინააღმდეგეს სოფ. აგლაბისთან.

თემირხანშურის ფრონტი.

5 დეკემბერი. სამი კვირის სიწყნარის შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა არაქსის, ყიზლიარის და ყარაბუდახკენტის მხრივ შეტევა განაახლეს თემირხანშურაზე. ყაზანიშის, ჯანგუშეტის, ხილის, პარაულის, დურგელის რაიონებში 3 დღის განმავლობაში ცხარე ბრძოლა სწარმოებდა. ზემო აღნიშნული სოფლები ჩვენს ხელში დარჩა, მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ და იძულებულ ვყავით თემირ-ხანშურისკენ დაეხია. ამ ბრძოლაში მტერს წავართვით 6 ზარბაზანი, 25 ტყვიისმფრქვეველი და 135 ტყე წავიყვანეთ.

მსახიობის დღისთვის

(პროვინციაში მომუშავე ქართველ მსახიობთა საყურადღებოდ).

ამა წლის 3 ივნისის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად 2 იანვარს, 1920 წელს, მთელს საქართველოში გაიმართება „მსახიობის დღე".

10 დეკემბერს მოწვეულმა თათბირმა, რომელსაც დაესწრენ თფილისში არსებული ყველა დრამატიული წრისა და კულტურული დაწესებულებების წარმომადგენელნი, გამოიმუშავა შემდეგი პროექტი:

1) შეძლების დაგვარად ყველა ადგილობრივ თეატრებში და განაპირა უბნის მუშათა კლუბებში გაიმართება სადღესასწაულო საღამო—წარმოდგენები, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცემა მსახიობთა კავშირს;

2) უნდა გავრცელდეს დამსახურებულ მსახიობთა სურათები;

3) მთელს საქართველოში დაიგზავნება გასავრცელებლათ ამ დღისთვის საგანგებოდ გამოცემული გაზეთი „მსახიობის დღე";

4) თფილისიდან ბათუმში შევა საგანგებო ვაგონი სადღესასწაულოთ მორთული და ეროვნული დროშით შემკული.

პროვინციაში მყოფ მსახიობებს ევალებათ ფართო ხასიათი მისცენ ამ დღესასწაულს, დაიხმარონ ყველა ადგილობრივი კულტურული ძალები, რომ მართლაც და ღირსეულად ჩატარდეს ეს დღე. შესაფერისი მუშაობა უკვე სწარმოებს. პროვინციელმა მსახიობებმა ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ მსახიობთა კავშირს თფილისში, სადაც მუშაობს „მსახიობის დღის" მომწყობი მთავარი კომიტეტი.

ქართველ მსახიობთა კავშირის ხაზგო. 2 იანვარს, 1920 წელს ქართველ მსახიობთა კავშირი ბ-ნ შალვა დადიანის რედაქტორობით გამოსცემს სადღესასწაულო გაზეთს „მსახიობთა დღე"-ს. საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს 25 დეკემბრამდე, მსახიობთა კავშირის ბინაზე (დამფუძნებელი კრების ქუჩა, № 5.) ბ-ნ შალვა დადიანის სახელზე.

გაზეთების გავრცელების საქმე

ვინ არ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალ გაზეთების და კარგი შინაარსის წიგნების გავრცელებას, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში. მეტადრე ისეთ მიყრუებულ, მივარდნილ ალაგას, სადაც თვეობით ვერ იხილავ გაზეთს. ეს რომ რეაქციის დროს ყოფილიყო, კიდევ არაფერი, რადგანაც მაშინ არ გვანებებდენ არავითარი კულტურული საქმის გაკეთებას სოფლად. მაგრამ დღეს? დღეს ხომ არავინ გვიშლის ხელს, პირიქით, გვეხმარებიან, ხელს გვიწყობენ.

გაზეთები რომ სათანადოთ ყოფილიყო გავრცელებული ხალხში შეიძლება ნახევარიც არ მომხდარიყო რაც ამ ხანებში მოხდა.

ქვეყნის მოღალატენი და ორგულნი თავიანთი სასარგებლო ზღაპრებით ქვებენ ხალხს და ატყუებენ. გაზეთების წაკითხვის საშუალება რომ ქონებოდათ სოფლად, მაშინ ხალხის ნაწილი ასე ადვილად არ წამოეგებოდა მათ ანკესზე. ცოტათი განათლებულ ქვეყნებში გაზეთი ისეთ აუცილებელ საგნათ არის გადაქცეული, როგორც სასმელ-საჭმელი.

ჩვენში კი ასეთი ხალხი ძლიერ ცოტაა. ამას გვიმტკიცებს ჩვენ გაზეთების ტირაჟის სიმცირე. მიუხედავათ იმისა, რომ გაზეთი შედარებით სხვა ნივთებთან, სულ ცოტათი გაძვირებულია, მოთხოვნილება ძლიერ ცოტაა, ამავე დროს გაზეთების, ჟურნალების და წიგნების გავრცელების დრო და საჭიროება სწორეთ ეხლაა. ჩვენი განახლებული ქვეყანა სწავლა-განათლებამ უნდა გადაახალისოს და გამოსცვალოს, გაანვითაროს.

ვინ უნდა იკისროს სოფლებში ჟურნალ გაზეთების და წიგნების გავრცელება? ყველა შეგნებულმა მოქალაქემ, მაგრამ მეტადრე ამაზე უნდა იზრუნოს ჩემის აზრით ერობამ, ყველა სოფლებში უნდა დაარსდეს სამკითხველოები. ეს იქნება ალაგი, სადაც კვირა-უქმე დღეებზე ხალხი თავს მოიყრის და გაზეთების საშუალებით ყველაფერს გაიგებს. არ კმარა სოფლებში წელიწადში ორხელ გზათ გავლა, საჭიროა ყოველ დღე გაიგოს სოფელმა თუ რა ხდება იქ შუაგულში, რას აკეთებს მისი არჩეული დამფუძნებელი კრება, მთავრობა. რა ხდება ევროპაში, რა ხდება ჩვენში.

დღეს კი ეს ასე არ არის. კახეთი ისეთი დიდი კუთხეა და გაზეთი კი მიდის მხოლოდ თელავში, ქართლში სულ არ არის აგენტურა, რაჭა, ლეჩხუმი უგაზეთოთ არის, რა უნდა ითქვას ჩამორჩენილ სოფლებზე, როცა გურიაშიც კი არის ისეთი სოფლები, სადაც სამკითხველოს დაარსება და გაზეთების გამოწერა ჯერ არავის მოსვლია აზრათ.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს სოფლებში უნდა გაიწერონ ჟურნალ გაზეთები, წიგნები, ქარტები, სურათები და ხალხს გააცნონ, წაუკითხონ, გააგებინონ ყოველივე ის, რაც ხდება დღეს.

ვიმეორებთ, ამას დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდოს სოფლებში დაარსებული ერობები და თემები.

ს. თავართქილაძე.

პროფესიონალურ კავშირებში

მეთამბაქოეთა კავშირში.

14 დეკემბერს მოხდა მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობის წევრთა ახალი არჩევნები. არჩეულ იქნა 14 კაცი, კანდიდატებით და სარევიზიო კომისიაში ხუთ ხუთი კაცი. ამავე სხდომაზე ძველმა გამგეობამ მოახსენა კრებას კავშირის მოქმედებაზე. მოხსენებაში ხაზ გასმით იქნა აღნიშნული ის ზომები, რომელსაც გამგეობა მიმართავდა საერთოდ მუშათა და კერძოთ უმუშევართა ინტერესების დასაცავად. 1917 წლის 13 მარტში, კავშირის დაარსების დროს წევრთა რიცხვი 2,362 უდრიდა. 1919 წლის 1 იანვრამდე კავშირიდან გამოსულა 859—დარჩენილა 1503 წევრი. ამ ჟამად კავშირში ითვლება 1351 წევრი.

კავშირის მთავარი ყურადღება მიქცეული ყოფილა უმუშევართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სალიკვიდაციო დახმარება მიუღია 318 კაცს. სულ დაურიგებიათ 177,954 მან. 01 კ. გამგეობის მეცადინეობით მექარხნეთა საზოგადოებას 200,000 მან. გადაუდვია უმუშევართა სასარგებლოთ. 1918 წლის 17 ივნისიდან კავშირში ყოფილა 255 უმუშევარი. აქედან გამგეობას დაუკმაყოფილებია 135. დღეს კავშირში ითვლება 120 უმუშევარი. მოხსენებაში აღნიშნულია გამგეობის მიერ მიღებული ზომები, თამბაქოს ქარხნის მეპატრონეთაგან მუშების დასაცავად.

კავშირის გამგეობას დახმარება აღმოუჩენია აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებისათვისაც. სახალხო უნივერსიტეტისათვის—4000 მან., სომხური გაზეთის გამოსაცემ ფონდის გასაძლიერებლად—5000 მან., სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა სასარგებლოთ 2000 მან.

შემდეგ მოხსენებაში აღნიშნულია ის ხაზი, რომელსაც კავშირი ადგა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, როგორიც იყო მაგ. სომხებთან ომი, ბალშევიკური გამოსვლები, ქალაქის თვითმართველობის მუშათა გაფიცვა და სხვა.

კავშირი ყოველთვის მხარს უჭერდა ამ საკითხებში დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნაბიჯებს.

მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობამ შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა მექარხნეთა საზოგადოებას: უკანასკნელ ხანებში გახშირდა ქარხნებში ცეცხლის გაჩენა. როგორც სჩანს, ამან მიიღო ორგანიზაციული ხასიათი და ეჭვი არ არის, რომ აქ არსებობს ფარული ორგანიზაცია, რომელიც თავისი აგენტების საშუალებით სისტემატიურათ აწარმოებს ცეცხლის გაჩენას. იღებს რა მხედველობაში, რომ მთავრობა ყოველივე ზომებს ღებულობს ამ ორგანიზაციის აღმოსაჩენად და დამნაშავეთა ფიზიონომიის გამოსარკვევად, კავშირის გამგეობა თავის მხრივ აუცილებელ საჭიროებათ სთვლის, რომ მომავალში თამბაქოს ქარხნებში ადგილი არ ექნეს ასეთ შემთხვევებს, წინადადება მისცეს მექარხნეთა და საზოგადოებას, რომ უკანასკნელმა ცხოვრებაში გაატაროს ქარხნების ორგანიზაციული დაცვის გეგმა. გარდა ამისა, პარიტეტულ ნიადაგზე ინიშნება ექსპერტიზა მომხდარ კატასტროფის გამოსარკვევად.

— ამავე კავშირმა 17 დეკემბერს სხდომაზე დაადგინა, ეთხოვოს პროფ. კავშირთა სეკრეტარიატს, რომ მან საკითხი ქარხანა „მირ"-ის შესახებ საბოლოოდ გადასაწყვეტად დასვას მთავრობის თავმჯდომარის წინაშე. ამასთანავე ერთად ეცნობოს მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზოგადოებას, რომ ამ საკითხის გამოსარკვევად აუცილებლად საჭიროა მეთამბაქოეთა პროფ. კავშირისა და თამბაქოს ფაბრიკის პატრონთა წარმომადგენლების საერთო სხდომის მოწვევა.

გარდა ამისა, ეცნობოს „მირ"-ის საზოგადოების გამგეობას მისი უკანასკნელად მომართვის პასუხად სამუშაო ქირის ავანსის სახით მიცემის შესახებ, რომ კავშირის გამგეობას არ შეუძლია დათანხმდეს ასე საკითხის დაყენებაზე.

— 17 დეკემბრის სხდომაზე ხსენებულ კავშირის გამგეობამ პრეზიდიუმში აირჩია: თავმჯდომარედ ამხ. ერზიკიანცი; მის ამხანაგებათ მემარნიშვილი და დუნდუა; მდივნად ერთხმად არჩეულ იქმნა ამხ. ხელაძე.

პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატი.

პროფ. კავშ. სეკრეტარიატმა დაადგინა აღმოუჩინოს როგორც ტეხნიკური, ისე მორალურ-მატერიალური დახმარება დედათა და ბავშვთა დამხმარე საზოგადოებას. ამისათვის მიღებული იქნა: 1) ხსენებულ საზოგადოების შენობის შესაკეთებლათ იაფ ფასებში უნდა იქნას შუშები ნაშოვნი და სეკრეტარიატი მოელაპარაკოს ინჟენერს; 2) პროფ. კავშირის წევრები უნდა ჩაეწერონ საზოგადოების წევრებათ; 3) წინადადება მიეცეს ყველა პროფესიონალურ კავშირებს, რომ თავიანთი ძუძუ მწოვარა ბავშვები კონსულტაციისათვის მიიყვანონ: ა) ავლაბარში, ბ) ვერაზე და 3) ნაძალადევში. 4) წინადადება მიეცეს მეთამბაქოეთა კავშირს, რათა უკანასკნელმა სთხოვოს „კომეტა" და საფერიანის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთ ხსენებულ ფაბრიკებში იშოვონ ბინები.

— პროფ. კავშ. საბჭომ სახალხო გვარდიის დღეს დაბეჭდა 10,000 ცალი ჟურნალი, რომელიც გვარდიელებსა და რაიონულ შტაბებს უფასოთ დაურიგდა, ხოლო პროფესიონალურ კავშირებს ფასებში.

— საბჭომ მოისმინა მომრიგებელ კამერის ხარჯთ აღრიცხვა ნოემბრისთვის და დაადგინა შეუმცირდეს ჯამაგირი თავმჯდომარეს, შემცირებულ იქნას კამერის შტატი და მდივანს გაუდიდდეს ჯამაგირი. წინადადება მიეცეს მუშათა სექციებს წარადგინონ საბჭოში ცნობები, თუ რამდენი ფული შემოდის სხვა ორგანიზაციებიდან მომრიგებელ კამერის შესანახად. სანამ ეს ცნობები მოვიდოდეს, გადაიდოს ხარჯ აღრიცხვის მიღება.

ქალაქის სავათმყოფო კასაში.

28 დეკემბერს, დილის 10 ს. მუშათა კლუბის დარბაზში, ქალაქის საერთო სავათმყოფო კასა იწვევს ხსენებულ კასის წევრთა და წარმოებათა, რომლებიც შედიან ხსენებულ კასაში, წარმომადგენლების საერთო კრებას. არჩევნები უნდა მოხდეს შემდეგი პრინციპით: 10 კაცი ირჩევს 1 წარმომადგენელს. ასევე აირჩევენ წვრილი წარმოებებიც.

დღის წესრიგი: გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიშები, წესდების დამტკიცება, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ახალი არჩევნები.

გამგეობა სთხოვს სავათმყოფო კასის ყველა მონაწილეთ და სამრეწველოებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხსენებული კრების მუშაობაში.

ფარმაცევტთა კავშირში.

ფარმაცევტთა კავშირის გამგეობამ დაადგინა მკაცრი ზომები მიიღოს სპეკულიაციის წინაამდეგ. კავშირის წევრები, რომლებიც მედიკამენტებით ან სხვა რაიმე საგნით სპეკულიაციას ეწევიან, დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან, ხოლო უმუშევარნი—კავშირიდან გამორიცხებიან.

ფარმაცევტთა კავშირის გამგეობამ თავისი შემადგენლობიდან გამოყო კომისია, რომელმაც შრომის კომისიასთან ერთად უნდა შეიმუშაოს ახალი კოლლექტიური ხელშეკრულება.

მუშათა შორის

ტყიბული. 6 დეკემბერს გვესტუმრა მინისტრი ნ. ხომერიკი, სადგურზე შეეგება მაღაროების ადმინისტრაცია, მუშათა კავშირის გამგეობა და მაღაროს მუშები. მისი ჩამოსვლის მიზანი იყო მუშებთან მოლაპარაკება დღევანდელ საჭირ-ბოროტო კითხვებზედ. მიტინგი გაიხსნა სახალხო სახლში, დაესწრო 650 მდე კაცი, კრება გახსნა ამხ. ხავთასმა. მოხსენება გააკეთა ნ. ხომერიკმა, როგორც საგარეო, ისე შინაურ მდგომარეობაზედ. მან ორი საათის განმავლობაში გაგვაცნო ის, რაც ჩვენ თვის ფრიად საინტერესო იყო, აგვიხსნა ყოველი ჩვენი გასაჭირი და მიგვითითა გამოსავალ საშუალებაზედ. აგრეთვე ილაპარაკა ხე-ტყით სარგებლობაზე, რომლის საკითხი აქ დიდათ აინტერესებს მკვიდრთ. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რაზედაც შესაფერი განმარტება მიიღეს შემკითხველებმა, და ბოლოს კრებამ მადლობა გადაუხადა მინისტრს და მასთან დაადგინა მისალმები დეპეშა გაეგზავნოს მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას და დამფუძნებელ კრებას. შემდეგ ინახულა მინისტრმა შავი ქვის მაღაროები. თითქმის არ დარჩენია დაუთვალიერებელი არაფერი. მან ნახა მთელი ის სიმდიდრე, რომელსაც პირველი თუ არა, მეორე ადგილი მაინც უკავია ჩვენს ნორჩ რესპუბლიკაში წარმოების მხრით. მასთან დაათვალიერა მაღაროების მუშები, ბინები და სხვა. ყოველგვარი ცნობები მიიღო როგორც ინჟ. ყიფიანისგან, ისე სხვა პირებისაგან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მინისტრი დიდ ყურადღებას მიაქცევს მაღაროების საქმეს და მით ხელს შეუწყობს მაღაროების გაუმჯობესობას და მის სათანადო ნიადაგზე დაყენებას.

ხიმონ მეხუზლა.

თფილისი. კვირას, 14 დეკემბერს, შრომის ბირჟაში მოხდა „პროლეტარ ნემსის" საზოგადო კრება, ამხ. კოპალეიშვილის თავმჯდომარეობით და ინსტრუქტორ ო. ლაცაბიძის თანადასწრებით. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: გამგეობის მოხსენება, ცენტრალური გამგეობის არჩევა, ნაჭრობიდან თვიურ ჯამაგირზე გადასვლა და კოოპერატიული სახელოსნოს გახსნა.

გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ილ. მელიქაძე, რომელმაც ვრცლათ დაახასიათა გამგეობის წარსული მუშაობა და მოუწოდა ენერგიული მოქმედებისკენ. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. ილ. მელქაძისა გამგეობის მოქმედების შესახებ, იწონებს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და მადლობას უცხადებს ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამის შემდეგ მოხდა ცენტრალური გამგეობის არჩევნები, აირჩიეს ილ. მელქაძე, კოპალეიშვილი, ჩამაშურიანცი, ოქრუაშვილი, მეტრეველი, ბატიევისა, ბეჟანოვისა, დედანაშვილი, კიასაშვილი. კანდიდატებათ: მახვილაძე, ასვაცატუროვი, კაზნოიევისა, სარუშკოვი, სალუქვაძე, მალხაზოვი, ცხვედაძე. ცენტრში ერთხმათ გავიდენ ილ. მელქაძე, კოპალეიშვილი. კანდიდატათ კიასაშვილი.

ნაჭრობიდან თვიურ ჯამაგირზე გადაყვანის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ილ. მელქაძე, რომელმაც ვრცელ მოხსენებაში დაახასიათა აუცილებლობა ნაჭრობიდან თვიურ ჯამაგირზე გადაყვანის. კამათის შემდეგ მიღებულ იქნა მომხსენებლის წინადადება. კოოპერატიულ სახელოსნოს გახსნის შესახებ ამხ. მელქაძე აცნობს კრებას გამგეობის აზრს. კრება ავალებს ახალ გამგეობას, რომ სთხოვოს შრომის მინისტრს კოოპერატიულ სახელოსნოს გახსნა, რომელიც ხელს შეუწყობს უმუშევართა ლეგიონების შემცირებას და ამით კი კავშირს მიეცემა საშუალება უფრო ნაყოფიერი მუშაობისა კავშირის წევრების სასარგებლოთ. ეს კი გაამაგრებს პროლეტარიატის რაგებს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის საკეთილდღეოთ.

პატარა მუშა.

ს.-დ. პარტიაში

ქ. გორი. 1918 წლის ნოემბრიდან გორის სოციალდემოკრატიულ კომიტეტში შემოვიდა (1 დეკემბრამდე 1919 წ.) 15,724 მანეთი. ეს ფული შემოვიდა სხვადასხვა წყაროებიდან, მაგ. საწევრო გადასახადი: პირველ რაიონიდან შემოვიდა 2851 მ., მეორე რაიონიდან—1399 მან., მესამე რაიონიდან—937 მ. 50 კ., სულ სამივე რაიონიდან—5387 მ. წარმოდგენებიდან შემოვიდა: 5406 მ., სესხით აღებული 3200 მ., შემოწირულების სახით: 1731 მ. 50 კ., სულ შემოსავალი 15,724 მ.

გასავალი იმავე რიცხვიდან შემდეგი იყო: საკანცელარიო ხარჯები: 67 მ. 50 კ., სტამბის 2058 მ. 50 კ., გაზეთების 1617 მან. წვრილი ხარჯები 795 მ., ჯამაგირი მოსამსახურეებს 1900 მ., ინვენტარი 1388 მ., სამაზრო კომიტეტს 942 მ., მოულოდნელი ხარჯები 2284 მ. 50 კ., ვალში მიცემული 1800 მ., სულ გასავალი 12,792 მ. 50 კ., კასაში დარჩა ეხლა 2933 მ. 50 კ.

შალიკო.

პროვინცია

ს. შილდა (კახეთი) ასე აწეწილ დაწეწილი არსად არ უნდა იყოს მიწის საკითხი, როგორც შილდაშია. იკითხავთ თუ რამ გამოიწვია ეს აწეწ-დაწეწვაო. საქმე იმაშია, რომ მიწის მიმზომი და გამმიჯნელი კომისია, რომელიც დაარსდა ერობის შემოღების დღიდან და რომლის ხელშიაც გადავიდა მიწის საქმის მოწესრიგება, ძალიან მძიმედ მუშაობს. იგი ჯერ ისევ ენისელში იჯუფება და როდის გადმოვა შილდაში, არავინ უწყის. შილდელები კი ახლაც მოუთმენლად მოელიან მის მოსვლას და ჩამორთმეულ მიწების განაწილებას. მოთმინების ფიალა აევსოთ ნამეტურ უმიწო და მცირე მიწის მფლობელ გლეხობას. რათა მცხოვრებთა სურვილი დაეკმაყოფილებინა, თელავის მაზრის ერობამ გამონახა შემდეგი ღონისძიება: ნება დართო შილდის სათემო ერთეულს გამოეყო დროებითი კომისია, რომელიც ჩამორთმეულ მიწებს გაანაწილებდა დასამუშავებლად გლეხებს შორის. თემმა მართლაც შეადგინა დროებითი მიწის კომისია. როგორ აასრულა ამ დროებითმა კომისიამ დაკისრებული მოვალეობა? თუ რით ხელმძღვანელობდა იგი, არ ვიცით, ხოლო შედეგი მისი მუშაობისა კი ასეთი აღმოჩნდა: ჩამორთმეულ მიწებს დაეპატრონენ არა ღარიბნი და უმიწონი, როგორც დეკრეტი ამბობს, არამედ—შეძლებულნი, უმეტეს ნაწილათ თვით კომისიის და სათემო საბჭოს წევრნი ან მათი ნათესავ-მეგობარნი; მაგალითად, მთელი სოფელი დაამოწმებს, რომ ვასილ მკევლიშვილი შეძლებული მოსახლეა სოფელში, ამასთანავე ის არის სათემო გამგეობის წევრი, მაშ, რა საფუძვლით მიუზომეს მას და კიდევ ბევრს მისთანებს მიწა? განა აქ აშკარა ბოროტმოქმედება არაა ჩადენილი? გარდა ამისა, დეკრეტი გვეუბნება,—მიწა მიეცეს ჯერ მიწის მუშას და მერე სხვასაცო. კომისიამ კი მიწები დაურიგა მედუქნეებს, მეჩოხეებს, ხარაზებს და მიწის მუშაკნი კი პირში ჩალა გამოვლებული დატოვა. კომისიამ ამის გარდა კიდევ ბევრი სხვა შეცდომა ჩაიდინა; მაგალითად ჩამოართვა მიწები იმისთანა ოჯახებს, რომლებსაც არ ჩამოერთმეოდათ, ვისაც ჩამოსართმევი ჰქონდა, მათ არ ჩამოართვა. ხალხში უკმაყოფილებაა და არ დაწყნარდება მანამდე, ვიდრე უმაღლესი მიწის მომწესრიგებელი ინსტანცია არ გამოასწორებს წამხდარ საქმეს.

მკვიდრი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ უღრმესი მადლობა გამოუცხადო მოქალაქე მოსე ივლიანეს ძე სულუხიას, რომელმაც შემოსწირა ოზურგეთის ქალაქის გიმნაზიას მუსიკის შესაძენათ ათი ათასი მანეთი. ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ.

პატივისცემით ოზურგეთის ქალაქის მოურავი გ. მურვანიძე.

განცხადებანი

ვეძებ გაკვეთილებს ოჯახში

დახელოვნებული ვარ ბავშვების გაწრთვნაში, შემიძლია მოვლა არანორმალური ბავშვისაც. დასრულებული მაქვს გიმნაზია და პედაგოგიური კურსები. ვიცი მუსიკა, ავათმყოფის მოვლა, მასაჟი და სხვ. ადრესი: გაზ. „ერთობის" კანტორა ე. გდოვგიაკიხათვის. (უფ. 2—1)

სამკურნალო

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.
გ. ხანაძე 9—12. შინ. ვენერ. სიფილ.
ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.
ი. ტეროვაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.
ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო.
ი. ტერგრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.
ტ. განუშოვი 11—12. ქალთა საბებ. „606" და „914" ყოველ დღე.
რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი გ. გ. ხანაძე. ((2937—თ.)

30 წიფობისთვის

დაიკარგა

ნატანებ ოზურგეთის გზაზე შავი მატერიის პლაშჩი. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს ოზურგეთში წიგნის მაღაზია „განათლებაში" მე ბარნაბ მენაბდეს, რისთვისაც მიიღებს საჩუქარს. (3312—2—2)

ექიმი ნ. დ. ტურაიშვილი
იღებს შინაგან, საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. (თ.—3023)

ექიმი დ. მ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (სავათმყოფოს ახლოს) ტელეფ 14—60. (თ.—2662.)

ექიმი ქალი ს. ვ. [illegible]
მედიცინის დოქტორი, ჟენევის უნივერსიტეტისა და ილინოისის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე [illegible] ავადმყოფთ და იღებს საბებიო დახმარებას [illegible] (606—914) [illegible] 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი მ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღას ქუჩა № 33

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

გ. ზ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით. ჰლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

ქალ. სამტრედიაში
ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28. (თ. 3065).

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაგების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 15 გრინიოლოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი ქ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

ოზურგეთში ექიმი ს. ვ. აბაშიძე
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჰლექს ექიმობს „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით, კ. სიმაიშვილის სახლში. (კუფ. 582)

ექიმი დ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, [illegible] ახლო.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ვართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ და სააკუშერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი ოთხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914". (2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. (ზემელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი ა. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914", მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროსპ. სასტუმრო „ნოვ"-ის პირდაპირ № 116 ტელ. 14—28

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

მთავარ სამმართველო

ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაწესებულ ფასით ხუთით ავათმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბებიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალშენის უფროს ექიმთან. (2901—14—14)

[illegible] „სტამბა ერთობა", გაბაევის შესახვევი, № 1